ირეალისი ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთულად აღსაწერ ენობრივ ფენომენად ითვლება (Elliott 2000). ლინგვისტთა ნაწილის აზრით, ირეალისი არ წარმოადგენს ცალკე გრამატიკულ კატეგორიას, მას შეიძლება ჰიპოთეტური, კონტრაფაქტული ენობრივი კონსტრუქცია ეწოდოს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Bybee 1998). ხშირად ამ კატეგორიას სტატუსადაც მოიხსენიებენ (Foley 1986).

ჯ. რობერტსის მიხედვით, ირეალისი მოდალობის სემანტიკურ კატეგორიას ეკუთვნის (Roberts 1990). ამავე მოსაზრებას იზიარებს თ. გივონი (Givón 1984, 1994). მეორე მხრივ, ირეალისი ადრევე იქცა სპეციალური კვლევის საგნად ამერიკელ ინდიელთა და ავსტრონეზიულ ენებში (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Mithun 1999: 173-180). ამ ენების ცნობილი მკვლევრები ირეალისის უნივერსალურ გრამატიკულ კატეგორიად ცნობის მხარდამჭერებად გვევლინებიან (Chafe 1995; Mithun 1995, 1999; Bugenhagen 1993).

საეტაპო მნიშვნელობისად ითვლება ფ. რ. პალმერის მონოგრაფია „კილო და მოდალობა“, რომელიც იხსნება თავით „რეალისი და ირეალისი“. ავტორის აზრით,

სწორედ ამ დიქტომიის თემატიზაციით უნდა იწყებოდეს მოდალობის ნებისმიერი ანალიზი (Palmer 2001: 1-3). ფ. რ. პალმერის მიხედვით, კილო (Mood) გრამატიკული ცნებაა, ხოლო მოდალობა (Modality) - სემანტიკური.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი მიემდგვნა ირეალისის კვლევას დადესტურ ენებში (Майсак/Татевосов 1998; Добрюшина 1999, 2001; Муталов 2002). რუსი ავტორების შრომებიდან აღსანიშნავია აგრეთვე Князев 1998 და Lander/Plungian/Urmanchieva 2004.

უახლეს ნაშრომებს შორისაა ქართველი ავტორების გამოკვლევები ირეალისის შესახებ შუმერულსა (ბარათაშვილი 2011) და თაბასარანულში (ბარამიძე 2015).

ირეალისის შესახებ არსებულ შრომებსა და გამოკვლევებში იკვეთება ორი ძირითადი პოზიცია. ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ირეალისი გრამატიკული ფენომენია და იგი მოდალობის ერთ-ერთ ფორმად განიხილება (*კილო*, როგორც *მოდალობის* ფორმა). მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი ირეალისის სემანტიკა გულისხმობს “არამიკუთვნებულობას რეალური სამყაროსადმი”, მოდალობისა კი - “შესაძლებლობას, აუცილებლობას, სურვილს და მისთ.” (*კილო* და *მოდალობა*, როგორც სხვადასხვა სემანტიკური ფორმები).

ამასთანავე, საგულისხმოა, რომ, როგორც მრავალწლიანმა კვლევითმა გამოცდილებამ აჩვენა, მრავალი ენის ზმნურ სისტემაში ირეალისი ფორმალური გამოხატულების მქონე გრამატიკული კატეგორიაა.

### **3.1.2. მოდალობა და მისი გამომხატველი ენობრივი საშუალებები გერმანულ ენაში**

ირეალისის, როგორც მოდალობის გამომხატველის, უკეთ დასახასიათებლად, სასურველია გავეცნოთ მოდალობას გერმანულ ენაში. მოდალობა ერთ-ერთი რთული გრამატიკული ფენომენია, რომელსაც სხვადასხვა ენაში განსხვავებული გამოხატვის საშუალებები გააჩნია. მოდალობის ცნების განსაზღვრა დაუსრულებელი დისკუსიის თემაა. ვ. აიხლერის და კ.-დ. ბიუნტინგის (Eichler/Bünting 1989: 109) მიხედვით, მოდალობა მოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას და შეფასებას ნათქვამის რეალურობის, არარეალურობის, სასურველობის, შესაძლებლობისა და აუცილებლობის

შესახებ. მოდალობის ცნების ქვეშ იგულისხმება მოსაუბრის განწყობა თავისი ნათქვამისადმი (Bublitz 1978: 6), თუ როგორ აღიქვამს მოსაუბრე თავის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას რეალობასთან მიმართებით, ასე რომ შესაძლებელია გამონათქვამის შინაარსი იქნას აღქმული როგორც რეალური, არარეალური, სურვილი, ვარაუდი, მოთხოვნა, იმედი, საყვედური, აღტაცება და ა.შ. მოდალობა გულისხმობს მოსაუბრის განსხვავებულ მიმართებას თავის მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე. იგი შესაძლებელია სუბიექტურად იქნას შეფასებული, ან ობიექტურად იქნას გადმოცემული სხვისი ნათქვამი და ნეიტრალური მიმართება დაფიქსირდეს მოსაუბრის გამონათქვამისადმი.

ამ განსხვავებული მიდგომების გამოხატვა ენაში სხვადასხვა საშუალებითაა შესაძლებელი: ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური. მოდალობის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს კილო, რომელიც გრამატიკული კატეგორიაა. კილო მოდალობის ერთ-ერთი გამოხატველია და მას ექვემდებარება (Flämig 1991: 403). კილოსა და მოდალობას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კილო მორფოლოგიური კატეგორიაა, მოდალობა კი სემანტიკური კატეგორიაა და მოიცავს გამოხატვის სხვადასხვა საშუალებას.

გერმანულ ენაში განასხვავებენ მოდალობის გამოხატვის შემდეგ საშუალებებს: ლექსიკურ-გრამატიკული - მოდალური ზმნები, ლექსიკური - წინადადების ზმნიზედები/მოდალური სიტყვები, შეფერილობითი ნაწილაკები/მოდალური ნაწილაკები, მოდალური სემანტიკის მყარი შესიტყვებანი, გრამატიკული - მოდალური შეფერილობის სინტაქსური კონსტრუქციები და ლექსიკურ-პრაგმატული საშუალებები, როგორებიცაა კილოს კატეგორია და მისი გამოხატულება würde+Infinitiv-ის ფორმებით.

ზმნის კილო ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა და მნიშვნელოვანი ენობრივი საშუალებაა მოდალობის გამოსახატავად. მისი მეშვეობით მოსაუბრე წარმოაჩენს თავის დამოკიდებულებას წინადადებაში გამოხატული აზრისადმი და მას წარმოადგენს როგორც რეალურს/ჭეშმარიტს, არარეალურს, სავარაუდოს, შესასრულებლად სავალდებულოს და ა.შ.

ა. შანიძის მიხედვით (შანიძე 1973: 208), „კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან კიდევ როგორც შესასრულებელი“.

გერმანულში განასხვავებენ კილოს სამ სახეობას: ა) თხრობითს (*der Indikativ*) – რეალური მოქმედების ამსახველ ფორმას (*die Wirklichkeitsform*), ბ) კავშირებითს/კონიუნქტივს (*der Konjunktiv*) –არარეალური/სავარაუდო/ჰიპოთეტური ვითარების და ირიბი ნათქვამის გამომხატველ ფორმას (*Die Irrealität/die Möglichkeitsform*) და გ) ბრძანებითს (*der Imperativ*) – მოწოდება/ბრძანების გამოხატვის ფორმას (*die Befehlsform*). კილოს თითოეულ ფორმას გააჩნია საკუთარი გრამატიკული მორფემა, რომლის საშუალებითაც ხდება განსხვავებული საკომუნიკაციო მიზნით წარმოთქმული ერთი და იგივე შინაარსის განსხვავება.

ა) *Niko geht nach Hause. ნიკო სახლში მიდის* (რეალურად არსებული ვითარება).

ბ) *Niko ginge nach Hause. ნიკო სახლში მიდიოდა* (არარეალური, სასურველი ქმედება).

გ) *Er sagt, Niko sei nach Hause gegangen.* მან თქვა, ნიკო სახლში წავიდაო (სხვისი ნათქვამის გამეორება არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით).

დ) *Niko, gehe nach Hause! ნიკო, წადი სახლში!* (შესასრულებლად სავალდებულო).

ეს წინადადებები გამოხატავენ მოდალობის სხვადასხვა ფორმას და შესაბამისად განსხვავებულ დამოკიდებულებას წინადადებაში გამოხატული აზრისადმი (რეალური, არარეალური, მიმართვის და ა.შ.)

თანამედროვე გერმანულის ზმნის სისტემა კილოს კატეგორიის მიხედვით შემდეგი სახის ფორმებს მოიცავს სხვადასხვა დროსთან მიმართებით:

#### თხრობითი კილო/*Indikativ*:

<i>Präsens:</i>	<i>sagt</i>
<i>Präteritum:</i>	<i>sagte</i>
<i>Perfekt:</i>	<i>hat gesagt</i>
<i>Plusquamperfekt:</i>	<i>hatte gesagt</i>
<i>Futur I:</i>	<i>wird sagen</i>



<i>Futur II:</i>	<i>wird gesagt haben</i>
<b>კავშირებითი კილო/Konjunktiv:</b>	
<i>Präsens:</i>	<i>sage</i>
<i>Präteritum:</i>	<i>sagte</i>
<i>Perfekt:</i>	<i>habe gesagt</i>
<i>Plusquamperfekt:</i>	<i>hätte gesagt</i>
<i>Futur I:</i>	<i>werde sagen</i>
<i>Futur II:</i>	<i>werde gesagt haben</i>
<b>ბრძანებითი კილო/Imperativ:</b>	<i>sag!</i>
	<i>sagt!</i>
	<i>sagen Sie!</i>

**Würde-Konstruktion:**

<i>würde-Konstruktion:</i>	<i>würde sagen</i>
<i>würde-Konstruktion im Perfekt:</i>	<i>würde gesagt haben</i>

თვალსაჩინოა, რომ ზმნის სისტემის ეს ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდება. როდესაც სხვადასხვა კილოს ფორმა იდენტურია, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მონათესავე ფორმები, მაგ. ისეთი, როგორცაა *würde* +Infinitiv კონსტრუქცია.

არარეალური, წარმოსახვითი, ჰიპოთეტური ვითარების გამოსახატავად გერმანულში გამოიყენება კავშირებითი კილო, ანუ კონიუნქტივი. კონიუნქტივის შინაარსი და ფუნქცია საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ კონიუნქტივ II და მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, კერძოდ, არარეალურის გამოხატვის შესაძლებლობა.

**3.1.3. კონიუნქტივის მნიშვნელობა და ფუნქცია**

გერმანული ენის კონიუნქტივს გ. ჰელბიგი (Helbig 1991: 325) ახასიათებს, როგორც მორფოლოგიურ სისტემას სხვადასხვა მოდალური მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობები კი კონიუნქტივის ფორმებით ან სხვა დამხმარე ლექსიკური საშუალებებით რეალიზდება. კონიუნქტივი თავისი მრავალფეროვანი მნიშვნელობით განსხვავდება თხრობითი კილოს/ინდიკატივისაგან, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში კი ისინი გამოხატავენ მსგავსებას მნიშვნელობის თვალსაზრისით.

პ. აიზენბერგი აღნიშნავს, რომ ინდიკატივსა და კონიუნქტივს, როგორც მოდალობის გამომხატველ გრამატიკულ ფორმებს, გააჩნიათ ზმნური პარადიგმები, რომელთა მიხედვითაც თითოეულ პირს და რიცხვს შესაბამისი ფორმა შეესატყვისება ყველა გრამატიკულ დროსა, აქტივსა და პასივში (ვნებით გვარში). თუ სადმე არასრულია ეს ფორმები, მაშინ გვხვდება კონსტრუქციები, რომლებიც მათ ავსებს ან ჩაანაცვლებს (Eisenberg 1994: 127).

კავშირებითი კილოთი (*Konjunktiv*) არარეალურის გარდა, გამოიხატება ბევრი სხვა მნიშვნელობაც. დედაენის მატარებლისთვის ამის გარჩევა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა უცხო ენის შემსწავლელისთვის ენობრივ ნიუანსებსა და დეტალებში გარკვევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. უცხო ენის შემსწავლელი ამ ტერმინოლოგიის მეშვეობით იძენს ენობრივ კომპეტენციას და, თუ ამომწურავად არ იქნა ახსნილი და გაანალიზებული გრამატიკული ფენომენი, ამან შესაძლებელია საკმაოდ არასწორი მიმართულება მისცეს ენის ათვისებას და შემაფერხებელი მომენტიც კი გახდეს, თუ მოხდება გრამატიკული ცნებების აღრევა. ერთი და იგივე გრამატიკული ფენომენი სხვადასხვა სახელმძღვანელოში ან სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული სახელწოდებებითაა წარმოდგენილი, მაგ. "*Konjunktiv II*" და "*Konjunktiv Präteritum*" ან "*konditional*" და "würde+ Infinitiv" და ა.შ. ამ ყველაფერმა შესაძლებელია დააბნოს ენის შემსწავლელი და ვერ მოახდინოს ამ ფორმების და სახელწოდებების იდენტიფიცირება, იმის გააზრება, რომ ერთსა და იმავე ფორმაზეა საუბარი. სწორედ ამიტომ ტერმინების სახელწოდებების დაზუსტებას უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. როტშტაინის (Rotstein 2010:19) მიხედვით, კონიუნქტივის სწავლება სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილია 1827 წლიდან.

ირეალობის გამოხატვის საშუალებად გერმანულ ენაში კონიუნქტივის ფორმები გამოიყენება, თუმცა ისინი ამავედროულად ირეალობისგან განსხვავებული ფუნქციების გამომხატველნიც არიან. სწორედ ამიტომ საჭიროა გამონათქვამის სწორი კონტექსტუალური აღქმა და საჭირო ფორმის მონახვა.

### 3.1.4. კონიუნქტივის პარადიგმა გერმანულ ენაში - Konjunktiv I-ის და Konjunktiv II-ის წრეები

კონიუნქტივ I და კონიუნქტივ II ცნებების შესახებ დიდი დისკუსია გაიმართა გასული საუკუნის 40-იან წლებში ამერიკელ გერმანისტებს ბ. მორგანს (Morgan 1942) და ა. ბოეშეს (Boesche 1942) შორის. ამ კამათის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ბ. მორგანს სურდა შემოეღო ტერმინები კონიუნქტივ I და კონიუნქტივ II მანამდე არსებული ცნებების - პრეზენტ კონიუნქტივის და პრეტერიტუმ კონიუნქტივის ნაცვლად. იგი აღნიშნავდა, რომ კონიუნქტივის ფორმები *er sei* და *er wäre* გამოხატავდნენ მსგავს გრამატიკულ დროს - აწმყოს. აქედან გამომდინარე *er wäre* ფორმისთვის პრეტერიტუმ (ზმნის ძირითადი ფორმა, რომლისგანაც იწარმოება წარსული დროის ფორმა) კონიუნქტივის წოდება მაშინ, როდესაც იგი აწმყოს გამოხატავს, ენის შემსწავლელისთვის დამაბნეველია და, მისი აზრით, ამ ფორმას უნდა ეწოდოს კონიუნქტივ II.

ბ. მორგანს მიაჩნია, რომ კონიუნქტივ I და კონიუნქტივ II მსგავსნი არიან მნიშვნელობით, მაგრამ განსხვავდებიან ფუნქციით (Morgan 1942: 286). მას ეთანხმება ჰ. გლინცი და აღნიშნავს, რომ კონიუნქტივ I და II *er sei* და *er wäre* ფუნქციურად განსხვავებული ფორმებია (Glinz 1970: 106).

ბ. მორგანის საპირისპიროდ ა. ბოეშეს მიაჩნია, რომ ტერმინები პრეზენტ კონიუნქტივი (Präsens Konjunktiv) და პრეტერიტუმ კონიუნქტივი (Präteritum Konjunktiv) უნდა შენარჩუნდეს, რადგან ძველ და შუა საუკუნეების გერმანულ ტექსტებში კონიუნქტივები დროის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ. აქედან გამომდინარე ეს ცნებები უნდა შენარჩუნდეს, რათა არ დაირღვეს ისტორიული თანმიმდევრულობა და კონიუნქტივის წარმოშობის სათავე წარმოჩინდეს (Magnusson 1976: 25).

ა. ბოეშეს არგუმენტების საპირისპიროდ ბ. მორგანის მოსაზრება უფრო მისაღებია თანამედროვე გრამატიკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ავტორი განსხვავებულ ტერმინს გამოიყენებს, სასწავლო გრამატიკის სახელმძღვანელოებში

დამკვიდრდა ცნებები კონიუნქტივ I და კონიუნქტივ II, რომელთა მეშვეობითაც ხდება კონიუნქტივის წრეების წარმოება და მათი ფუნქციების განსაზღვრა.

კონიუნქტივის ფორმების წარმოება გერმანულში ანალიტიკური და სინთეზური გზით ხორციელდება.

გერმანულ ენაში კავშირებითი კილოს Konjunktiv I-ისა და Konjunktiv II-ის წრეები თავისი მნიშვნელობით და ფუნქციით ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაშინ, როდესაც Konjunktiv I-ი ირიბი თქმისთვის (იშვიათად მოწოდებისთვის) გამოიყენება (მაგ. *Er sagte, er komme gleich/მან თქვა ახლავე მოვალა*), Konjunktiv II -ის ფუნქცია ძირითადად არარეალურის/პოტენციალობის გამოხატვაა (მაგ. *Wenn ich ein Auto hätte, führe ich dich nach Hause/მანქანა რომ მყავდეს, სახლში წავიყვანდი*).

გერმანულ ენაში არსებული კონიუნქტივი (I და II) მდიდარია ფუნქციათა და ფორმათა მრავალფეროვნებით. თხრობითი კილოს მსგავსად მასაც გააჩნია ექვსი გრამატიკული დროის ფორმა და დამატებითი კონდიციონალისი (würde+ Infinitiv I/II). ეს დროის ფორმები გადანაწილებულია კონიუნქტივ I-ისა და კონიუნქტივ II-ის წრეებს შორის. კონიუნქტივ I-ის წრეს ეკუთვნის პრეზენსი (აწმყო/Präsens), პერფექტი (წარსული დროის ფორმა/Perfekt) და მომავლის ორი ფორმა (Futur I და Futur II), ხოლო კონიუნქტივ II-ს წრეს, ეკუთვნის პრეტერიტუმის (Präteritum), პლუსკუამპერფექტის (Plusquamperfekt) და კონდიციონალისის ფორმები (würde+ Infinitiv I/II).

კავშირებითი კილოს (Konjunktiv) ფორმები შემდეგნაირად გადანაწილდება კონიუნქტივის წრეების მიხედვით:

**Konjunktiv I-ის წრე**

Konj. Präsens: *er komme*

Konj. Perfekt: *er sei gekommen*

Futur I: *er werde kommen*

Futur II: *er werde gekommen sein*

**Konjunktiv II-ის წრე:**

Konj. Prät.: *er käme*

Konj. Plusquamp.: *er wäre gekommen*

Kondit. I: *er würde kommen*

Kondit. II: *er würde gekommen sein*

კონიუნქტივ I-ის ფორმების წარმოება ხდება პრეზენსის (ზმნის საწყისი ფორმის/ინფიტივის) ფუძიდან. ამგვარად, პრეზენსი/Präsens (აწმყო დრო), პერფექტი/Perfekt (წარსული დრო) და ფუტურ I/Futur I და ფუტურ II/Futur II (მომავლის

დროები) იწარმოება პრეზენტის ფუმიდან. ხოლო კონიუნქტივ II-ის ფორმები – პრეტერიტუმი/Präteritum (კონიუნქტივ II-ის აწმყო დრო) და პლუსკუამპერფექტი/Plusquamperfekt (კონიუნქტივ II-ის წარსული დრო) პრეტერიტუმის/Präteritum ფუმიდანაა ნაწარმოები.

მ. ანდრაზაშვილი ასევე აღნიშნავს, რომ „ფუნქციების დანაწილება ამ ორი წრის ფორმებს შორის შემდეგი პრინციპის მიხედვით წარმოებს: Konjunktiv I-ის წრის ფორმათა დანიშნულებაა, გადმოსცეს ირიბი თქმა; Konjunktiv II-ის წრის ფორმებისა კი - გამოხატოს არარეალური ვითარება“ (ანდრაზაშვილი 2008: 144). აქვე აღინიშნება, რომ კონტექსტის მიხედვით დასაშვებია, რომ გარკვეულ შემთხვევებში კონიუნქტივის წრეებმა ერთმანეთის ანალოგიური ფუნქციებიც შეიძინონ. ხშირად კი ხდება ორივე მათგანის ჩანაცვლება კონდიციონალის ფორმებით.

ეს დანაწილების პრინციპი არ ითვალისწინებს იმას, როგორი სახით, (სინთეტიკური-ზმნის ფორმაზე ფლექსიის დართვით, თუ ანალიზური - დამხმარე ზმნის მეშვეობით) ხდება კონიუნქტივის ფორმების წარმოება. როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, კონიუნქტივის ეს ფორმები ერთმანეთისგან, როგორც წესი, ფუნქციურად განსხვავდება: კონიუნქტივ I გამოხატავს ძირითადად ირიბ ნათქვამს, ხოლო კონიუნქტივ II გამოიყენება ირეალისის (ნატვრით, არარეალურ პირობით წინადადებაში და ა.შ.) გამოსახატავად. სწორედ ამის თვალსაჩინოებისთვის მ. ანდრაზაშვილი Konjunktiv I და Konjunktiv II-ის წრის ფორმათა ფუნქციებს და გამოყენების სფეროებს წარმოგვიდგენს შემდეგი სქემის სახით:

დროის ფორმა	მეტყველების სახეობა	გამოყენების სფერო
<b>Konjunktiv I</b> Präsens Perfekt Futurum I/II	ზეპირი/წერითი	1.ირიბი თქმა-სხვათა სიტყვის გადმოცემა; 2.ლოცვა-წყევლის ფორმულირება; 3.არაპირდაპირი ბრძანება(მოწოდება/რჩევა- დარიგებანი/ინსტრუქცია- რეკომენდაციები/რეცეპტები).

<b>Konjunktiv II</b>	ზეპირი/წერითი	1.არარეალური, ჰიპოთეტური ვითარების გადმოცემა(არარეალური პირობის/შედარების/დათმობის/შედეგის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები);
Präteritum		
Plusquamperfekt	ზეპირი	2.ნატვრა;
Konditionalis I/II		3.nicht dass-კავშირიანი კონსტრუქციები;
		4.თავაზიანი მიმართვის კონიუნქტივი;
		5. ირიბი თქმა.

(ანდრაზაშვილი 2008: 144).

კონიუნქტივის მორფოლოგიური ნიშანია e- მორფემა, რომელსაც ზმნა კონიუნქტივ I-სა და კონიუნქტივ II-ში (Konjunktiv II) უღლებსას ძირითად ფორმებზე Präsens-სა და Präteritum-ზე დაირთავს შესაბამის პირის ნიშნებთან ერთად. სწორედ ამ საერთო მარკერის არსებობაა მნიშვნელოვანი არგუმენტი კონიუნქტივის საერთო სახელწოდების შენარჩუნებისთვის.

მხ. რიცხვი/Singular

მრ. რიცხვი/Plural

I. -e

-en

II. -est

-et

III. -e

-en

სხვადასხვა მორფოლოგიური ჯგუფის ზმნები კონიუნქტივში განსხვავებულად იუღლებიან. ამ თავისებურებების ახსნა დაწვრილებით ხდება ენის შემსწავლელისთვის.

• ძლიერი უღლების ზმნები, რომელთა ფუძეც ზმნის მეორე ძირითად ფორმაში (Präteritum-ში) წარმოდგენილია a/u/o-ფუძისეული ხმოვნით (მაგ. kommen/kam, schlafen/schliefe, geben/gab, fahren/fuhr, essen/aß...) კონიუნქტივ II/პრეტერიტუმ კონიუნქტივში (Konjunktiv II) უღლებსას ზემოხსენებულ -e მორფემასა და ფლექსიასთან ერთად უმლაუტსაც დაირთავენ.

მხ. რიცხვი/Singular

მრ. რიცხვი/Plural

I. *ich käm-e /gäb-e*

*wir käm-e-n /gäb-e-n*

II. *du käm-e-st / gäb-e-st*

*ihr käm-e-t / gäb-e-t*

III. *er käm-e / gäb-e*

*sie käm-e-n / gäb-e-n*

ამ შემთხვევაში კონიუნქტივი II უმლაუტის საშუალებით განსხვავდება თხრობითი კილოს (Indikativ) Präteritum-ისგან.

• განსხვავებით ძლიერი უღლების ზმნებისგან სუსტი უღლების ზმნები, რომლებიც Präteritum-ს ისედაც *-(e)te*-აფიქსით აწარმოებენ, აღარ საჭიროებენ დამატებით *e*-მორფემას. *a/o/u*-ხმოვანფუძიანი ზმნები ასევე არ დაირთავენ უმლაუტს და მათი უღლების პარადიგმა კონიუნქტივ პრეტერიტუმში (Konjunktiv II) სრულიად ემთხვევა თხრობითი კილოს წარსულის (Indikativ Präteritum) ფორმას და ჰომონიმურ ფორმებს ქმნიან. შემდეგი მაგალითი ნათლად გვიჩვენებს ამ სურათს:

<b>Indikativ</b>	<b>Konjunktiv II</b>	<b>Indikativ</b>
Präsens	Präteritum	
მხ. რიცხვი/Singular		
I. <i>ich lerne</i>	<i>ich lernte</i>	<i>ich lernte</i>
II. <i>du lernst</i>	<i>du lernstest</i>	<i>du lernstest</i>
III. <i>er lernt</i>	<i>er lernte</i>	<i>er lernte</i>
მრ. რიცხვი/Plural		
I. <i>wir lernen</i>	<i>wir lernten</i>	<i>wir lernten</i>
II. <i>ihr lernt</i>	<i>ihr lerntet</i>	<i>ihr lerntet</i>
III. <i>sie lernen</i>	<i>sie lernten</i>	<i>sie lernten</i>

მოცემულ ვარიანტში სუსტი ზმნების კონიუნქტივ II-ის აწმყო დროის (Konjunktiv II Präsens) და თხრობითი კილოს წარსული დროის (Indikativ Präteritum) ფორმები იდენტურია, ჰომონიმური. მათი გარჩევა კონტექსტის გარეშე ხშირად შეუძლებელია. როდესაც კონიუნქტივის და ინდიკატივის ზმნის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთდროულად ორივე კილოს ეკუთვნის, აქ მხოლოდ მათი ფორმალური დამთხვევა ხდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა სინკრეტიზმების სახელით არის ცნობილი (Radtke 1998: 201). სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს სხვადასხვა კილოს და დროის ფორმების დამთხვევა, გამოიყენება

კონდიციონალისის *würde*-კონსტრუქცია (*würde+Infinitiv*), რომელიც ცვლის კონიუნქტივ II-ის ფორმებს.

ძლიერი ზმნების კონიუნქტივ II-ის ფორმა განსხვავდება თხრობითი კილოს პრეტერიტუმის ფორმისგან, რადგან იცვლება ძირითადად ხმოვანი, ან დაირთავს უმლაუტს, ამიტომ არ ხდება თანხვედრა ინდიკატივის და კონიუნქტივის ფორმებისა და, შესაბამისად, ნაკლებად ვხვდებით სინკრეტიზმებს ამ ფორმებთან.

კონიუნქტივის ფორმების წარმოების შესახებ იეგერი წერს, რომ, ერთი შეხედვით, სრული უწესრიგობა ჩანს, ძლიერი უღლების ზმნები სუსტი ზმნებისგან განსხვავებულად იქცევიან, დამხმარე და მოდალურ ზმნებთან კი სრული ქაოსი სუფევს. იგი აღნიშნავს, რომ ფორმების ასეთი მრავალფეროვნებისას არაა გასაკვირი, რომ, ერთი შეხედვით, არასისტემურობის შთაბეჭდილება რჩება, თუმცა შესაბამისი წესებისა და რეგულაციების გათვალისწინების შემდეგ, ყველაფერი თავის ადგილას დგება, აღარ ხდება მათი აღრევა თხრობითი კილოს/ინდიკატივის ფორმებთან და სუსტი და ძლიერი ზმნების ფორმების წარმოებაც ადვილად აღსაქმელია (Jäger 1971: 238).

კონიუნქტივის წარსული და მომავალი დროის ფორმები იწარმოება შესაბამისი დროის პარადიგმის მიხედვით.

კონიუნქტივის ანალიზური ფორმების წარმოებისას დამხმარე ზმნების *sein, haben* და *werden* კონიუნქტივის ფორმებს ემატება ძირითადი ზმნის Partizip II ან Infinitiv I/II, რომელთა ადგილი წინადადების ბოლოსაა (მაგ.: *er hätte gekauft/er wäre gekommen/er würde fragen*).

კონიუნქტივ პლუსკუამპერფექტი აქტივი (Konjunktiv Plusquamperfekt Aktiv) იწარმოება დამხმარე ზმნების *haben*-ისა და *sein*-ის კონიუნქტივ პრეტერიტუმზე (Konjunktiv Präteritum/II) ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნის მესამე ძირითადი ფორმის - Partizip II ის დართვით (*hätte/wäre + Partizip II*). მაგალითად:

მხ. რიცხვი/Singular	მრ.რიცხვი/ Plural
I. ich hätte gefragt	wir hätte-n gefragt
II. du hätte-st gefragt	ihr hätte-t gefragt
III. er/sie/es hätte gefragt	sie hätte-n gefragt



oder

I. ich wäre gefahren

wir wäre-n gefahren

II. du wäre-st gefahren

ihr wäre-t gefahren

III. sie wäre gefahren

sie wäre-n gefahren

ასეთივე ფორმით აწარმოებენ მოდალური ზმნები წარსული დროის ფორმებს. კერძოდ, დამხმარე ზმნა haben-ის კონიუნქტივ II (Konjunktiv Präteritum) და მოდალური ზმნის Partizip II -ის მეშვეობით.

მხ. რიცხვი/Singular

მრ. რიცხვი/Plural

I. ich hätte gewollt/ gekonnt

wir hätte-n gewollt/ gekonnt

II. du hätte-st gewollt/ gekonnt

ihr hätte-t gewollt/ gekonnt

III. er/sie/es hätte gewollt/ gekonnt

sie hätte-n gewollt/ gekonnt


მიუხედავად კონიუნქტივის ფორმების მრავალფეროვანებისა, გარკვეულ სიტუაციებში მათ სჭირდებათ დამატებითი კონსტრუქციების გამოყენება, რომელზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

**würde + Infinitiv ფორმა/ würde კონსტრუქციები.** კონიუნქტივ II-ის ფორმების გვერდით გამოიყენება *würde+Infinitiv* ფორმები (Konditional I და Konditional II), რომლებიც იწარმოება *werden*-ის კონიუნქტივ II-ის და ინფინიტივ I/II-ის მეშვეობით და შეუძლია ჩაანაცვლოს კონიუნქტივის ფორმები. მათ ხშირად კონდიციონალის უწოდებენ. კონდიციონალი გერმანულ ენაში გვხვდება კონიუნქტივის იმ ფორმების ჩასანაცვლებლად (Duden 1998, 2009), რომლებიც ირეალობას და პოტენციალობას გამოხატავს.

*würde+Infinitiv* კონსტრუქცია დუდენის (Duden) გრამატიკაში განიხილება მორფოლოგიური კრიტერიუმის მიხედვით, როგორც *werden+Infinitiv*-ის კონიუნქტივ II-ის ფორმა. გერმანულ ენაში არ არსებობს მკაცრი წესები *würde+Infinitiv* კონსტრუქციის, ფიქსირდება მხოლოდ მისი გამოყენების ტენდენციები.

ჰ. აიზენბერგს ხელოვნურად მიაჩნია *würde* კონსტრუქციების მეშვეობით *Konjunktiv II*-ის ფორმების ჩანაცვლება და მათი ადგილის განსაზღვრა კონიუნქტივის პარადიგმაში (Eisenberg 1994: 156). გრამატიკოსების ნაწილი ეყრდნობა იმ მოსაზრებას,

რომ კონიუნქტივის გამომხატველი *würde* კონსტრუქციები ინდიკატივის მომავალი დროის ფორმების შესატყვისია Konjunktiv II-ში (Bausch 1979: 65).



ბაუშის (Bausch 1979) კვლევა შესაძლებლობას იძლევა, რომ *würde+Infinitiv* კონსტრუქციები ჩანაცვლების ფორმის მაგივრად ძირითად ფორმად იქნას განხილული. აიზენბერგს კი მიაჩნია, რომ ეს მაგალითები არ არის საკმარისი არგუმენტი *würde* კონსტრუქციების კონიუნქტივის პარადიგმაში ადგილის დასაკავებლად.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში *würde* კონსტრუქციებს უმეტესად ვხვდებით, როგორც კონიუნქტივ I და II-ის მონათესავე და ალტერნატიულ ფორმას, როდესაც ხდება კონიუნქტივის და თხრობითი კილოს (Indikativ) ფორმების დამთხვევა ან მოძველებული კონიუნქტივ პრეტერიტუმის ფორმების ჩანაცვლება.

*Wenn ich die Möglichkeit hätte, hülfe ich dir/würde ich dir helfen.*

შესაძლებლობა რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი.

ისინი გამოიყენება როგორც ირიბი ნათქვამის გამოსახატავად, ასევე არარეალური პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, როგორც წარსულში პოტენციალური ქმედების, ან როგორც აწმყოში/მომავალში არარეალური პირობის გადმოსაცემად.

*Wenn er viel übte/üben würde, erreichte er mehr.*

ბევრი რომ ემეცადინა, მეტს მიაღწევდა.

*Wenn ich Lust hätte, würde ich zum Konzert gehen.*

სურვილი რომ მქონდეს, კონცერტზე წავიდოდი.

მიზანშეწონილი და სასურველია, რომ თავი ავარიდოთ *würde+Infinitiv*-ის კონსტრუქციის ორმაგ გამოყენებას მთავარ და დამოკიდებულ წინადადებაში. მისაღებია შემდეგი სახის წინადადებები:

*Wenn ich Klaus fragen würde, erzählte er mir von seiner Tätigkeit.*

კლაუს რომ შევკითხვოდი, მომიყვებოდა თავისი საქმიანობის შესახებ.

ან

*Wenn ich Klaus fragte, würde er mir von seiner Tätigkeit erzählen.*

*würde* ფორმების გამოყენების უპირატესობა წერილობითისგან განსხვავებით გამოიხატება სასაუბრო ენაში,

ეს კონსტრუქცია, როგორც ირეალისის გამოხატვის საშუალება, დროსთან მიმართებით ნეიტრალურია და კონტექსტის შესაბამისად გვხვდება აწმყოს ან მომავლის მნიშვნელობით. ირეალური, ანუ კონტრაფაქტური სამყარო რეალურ, ფაქტიურ სამყაროსთან შეუთავსებელია. მომავალი კი რეალური, ფაქტიური სამყაროს გაგრძელებაა და ეს მიგვანიშნებს, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული და დაცილებული სამყაროს გამოვლინებები არიან.

მიუხედავად გრამატიკოსების განსხვავებული მოსაზრებებისა, ცხადია, რომ *würde + Infinitiv I/II* გერმანულ ენაში კონიუნქტივ II-ის ფორმას ხშირად ენაცვლება. ამ ანალიზური ფორმის კუთვნილებას კონიუნქტივთან სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებულად გამოხატავს. გ. ჰელბიგი და ი. ბუშა (Helbig/Buscha 1996: 191) ამ სტრუქტურას *würde*-ფორმას უწოდებს, რომელიც რეგულირებადი კონიუნქტივის II-ის ფორმების გვერდით გვხვდება. *würde + Infinitiv*, იგივე კონდიციონალისი, როგორც კავშირებითი კილოს ერთ-ერთი ფორმა, შედარებით მოგვიანებით აღმოცენდა ენაში. მისი პირველადი დანიშნულებაა, გადმოსცეს არარეალური ვითარება. მას ასევე შეუძლია ჩაენაცვლოს კონიუნქტივ პრეტერიტუმის ფორმებს, განსაკუთრებით სუსტი ზმნების უღლებისას, როდესაც ხდება კონიუნქტივ პრეტერიტუმის (Konjunktiv II) ფორმების თანხვედრა თხრობითი კილოს (Indikativ Präteritum) ფორმებთან. ამას მოწმობს შემდეგი უღლების პარადიგმა:

<b>Indikativ Präteritum</b>	<b>Konjunktiv II</b>	<b>Konditionalis I</b>
მხ. რიცხვი/Singular		
I. ich lernte	ich lernt-e	ich würd-e lernen
II. du lernst	du lernst-e-st	du würd-e-st lernen
III. er lernte	er lernt-e	er würd-e lernen
მრ. რიცხვი/Plural		
I. wir lernten	wir lernt-e-n	wir würd-e-n lernen
II. ihr lerntet	ihr lernt-e-t	ihr würd-e-t lernen
III. sie lernten	sie lernt-e-n	sie würd-e-n lernen

*würde + Infinitiv*-ის ფორმით ხდება ხშირად არა მარტო სუსტი უღლების ზმნების ჩანაცვლება, არამედ იმ ძლიერი უღლების ზმნებისა, რომელთა კონიუნქტივ პრეტერიტუმის ფორმა არქაულია და გამოუყენებელი. მაგალითად:

*Wenn ich Zeit hätte, hülfe ich dir.*

*Wenn ich Zeit hätte, würde ich dir helfen.*

დრო რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი.

გერმანულ ენაში განასხვავებენ კონდიციონალის ორ ფორმას: *Konditionalis I Aktiv* და *Konditionalis II Aktiv*-ს.

*Konditionalis I Aktiv* იწარმოება ზმნა *werden*-ის კონიუნქტივ II-ის ფორმაზე ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი ზმნის *Infinitiv I*-ის დართვით. ზმნის უღლებისას იცვლება მხოლოდ დამხმარე ზმნის ფორმები, ხოლო ინფინიტივი (ზმნის ძირითადი ფორმა) რჩება უცვლელი.

მხ. რიცხვი/Singular	მრ. რიცხვი/Plural
I. ich würd-e fragen / fahren	wir würd-e-n fragen / fahren
II. du würd-e-st fragen / fahren	ihr würd-e-t fragen / fahren
III. er würd-e fragen / fahren	sie würd-e-n fragen / fahren

კონდიციონალის II აქტივი (*Konditionalis II Aktiv*) იწარმოება დამხმარე ზმნა *werden*-ის კონიუნქტივ პრეტერიტუმზე (*Konjunktiv II*) ძირითადი ზმნის *Infinitiv II*-ის დართვით. ზმნის კონიუნქტივში უღლებისას მხოლოდ დამხმარე ზმნა იცვლის ფორმას, ხოლო ინფინიტივის ფორმა რჩება უცვლელი.

მხ. რიცხვი/Singular	მრ. რიცხვი/Plural
I. ich würd-e gefragt haben /gefahren sein	wir würd-e-n gefragt haben/ gefahren sein
II. du würd-e-st gefragt haben /gefahren sein	ihr würd-e-t gefragt haben /gefahren sein
III. er würd-e gefragt haben /gefahren sein	sie würd-e-n gefragt haben /gefahren sein

თავდაპირველად *würde +Infinitiv* ფორმა გამოიყენებოდა არარეალურ პირობით დამოკიდებულ წინადადებებში. ეს წინადადებები გამოხატავენ შეუსრულებელ პირობას, რომელსაც მთავარ წინადადებაში გამოხატული სიტუაცია შეუძლებელს ხდის. მაგალითად:

*Wenn er mich lieben würde, wäre er jetzt hier.*

მას რომ ვუყვარდე, ახლა აქ იქნებოდა.

რადგან პირობა არ სრულდება (*მას არ ვუყვარვარ*), მთავარი წინადადების შედეგი ვერ დგება (ის არაა აქ). პირობა და შედეგი აისახება ერთმანეთში. ეს პირობა-შედეგობითი ურთიერთობა უდევს საფუძვლად *würde-Konjunktiv*-ის/ანალიტური კონიუნქტივის განვითარებას, თუმცა მოგვიანებით ეს კონსტრუქცია სხვა ტიპის არარეალურ წინადადებებზეც გავრცელდა (მათ შორის არარეალური დათმობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებზე). მთავარ წინადადებებში ხშირად გამოიყენებოდა კონიუნქტივ II, ხოლო დამოკიდებულ წინადადებებში *würde+Konjunktiv*-ის ანალიტური ფორმა.

კონდიციონალისის ფორმებმა ხელი შეუწყო ანალიტიკური კონიუნქტივის განვითარებასა და გავრცელებას. იმდენად გავრცელდა ეს ფორმები რომ ჩაანაცვლა კონიუნქტივის II-ის ფორმები. ციფონუნი (Zifonun et al. 1997: 1736) და სხვა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ინდიკატივისაგან/თხრობითი კილოსგან გასხვავებით კონიუნქტივში სინთეტურ ფორმათწარმოებასთან ერთად ანალიტიკური ფორმების გამოყენების საშუალებაა, რასაც თხრობით კილოში ანალოგი არ გააჩნია:

	Präteritum syntetisch	Präteritum analytisch
Indikativ	<i>er ging</i>	<i>er wurde gehen</i>
Konjunktiv	<i>er ginge</i>	<i>er würde gehen</i>

*würde* ფორმები ყოველთვის არ არიან წარმოდგენილი მომავლის კონიუნქტივთან/*Konjunktiv Futur*-თან ერთად. მომავლის მნიშვნელობით ისინი *Konjunktiv Präsens*-ის და *Konjunktiv Präteritum*-ის პარალელურად ჩნდება.

კონდიციონალი II (*würde + Partizip II + Infinitiv von sein/haben*) შედარებით იშვიათი და სტილისტურადაც საკმაოდ რთული გამოყენებით გამოირჩევა (Zifonun et al. 1997: 1737), რომლის დროსაც ხაზი ესმება წინარე/წარსული დროის გამოყენებას მომავლის მიმართებით:

*Er hoffte, dass sie die Arbeit bis zum Abend erledigt haben würde.*

ის იმედოვნებოდა, რომ საღამომდე დაამთავრებდა სამუშაოს.

*würde + Infinitiv*-მა სხვა სტილისტური შეფერილობაც მიიღო, კერძოდ, იგი წინადადებებში გამოხატავდა მოსაუბრის პერსპექტივას.

სასაუბრო ენაში უპირატესობა ენიჭება *würde + Infinitiv*-ის ფორმის გამოყენებას. ზეპირ მეტყველებაში თითქმის ყველა ზმნა, დამხმარე და მოდალური ზმნების გარდა, ამ ფორმის მეშვეობით იწარმოება (ხოლო *Konditional II* -ის გამოყენება შედარებით იშვიათად ხდება, *Konditional I*-სგან განსხვავებით).

გასული საუკუნის 70 -იან წლებში კონიუნქტივის შესახებ გამოქვეყნებულმა კვლევებმა (Jäger 1971, Graf 1977, Bausch 1979) ამ გრამატიკული ფენომენის მრავალი ასპექტი წარმოაჩინა სიღრმისეულად. ბაუში (Bausch) აღნიშნავდა, რომ მეტყველებისას მოსაუბრე იღებს გადაწყვეტილებას კონიუნქტივის რომელ ფორმას გამოიყენებს, სინთეზურს თუ ანალიზურს. დაახლოებით  $\frac{3}{4}$  უპირატესობას ანიჭებს ანალიზურ ფორმას - *würde* კონსტრუქციას. ეს კი მიანიშნებს, რომ კონიუნქტივის ანალიზური ფორმის ხმარება წესია. მკვლევრები ასევე ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ სასაუბრო ენაში მხოლოდ დამხმარე და მოდალური ზმნები და ასევე რამდენიმე ზმნა იხმარება კონიუნქტივ II-ის (პრეტერიტუმის) ფორმით, დანარჩენი კი იყენებს ანალიზურ ფორმას (Zifonun et al. 1997: 1784).

ზ. იეგერმა (Jäger 1971: 19) ცნობილი ავტორების ჰაინრიხ ჰაინეს (Heinrich Heine), ჰაინრიხ ბილის (Heinrich Böll), გიუნტერ გრასის (Günter Grass) და მაქს ფრიშის (Max

Frisch) ნაწარმოებებში გამოიკვლია კონიუნქტივის გამოყენება და წარმოადგინა კონიუნქტივის და würde კონსტრუქციების გამოყენების სიხშირე და არეალი:

	würde	Vollverben	andere analytische
Indirekte Rede ირიბი ნათქვამი	48,6%	10,7%	40,7%
Konditionalsatz პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება	20,3%	6,2%	73,5%
Vergleichssatz შედარების გარემოებითი წინადადება	14,5%	21,2%	64,3%

(Jäger 1971: 251)

ეს ცხრილი აჩვენებს, რომ würde კონსტრუქციები კონიუნქტივ II-ის ფორმების დაახლოებით 1/4-ზე ცოტა მეტს წარმოადგენს, დაახლოებით 2/3 მოდის დამხმარე ზმნებისა და მოდალური ზმნების კონიუნქტივ II-ის ფორმებზე, ხოლო დანარჩენ ძირითადი ზმნების ფორმებზე კი 1/12. ამ ცხრილის შედეგად იეგერი ასკვნის, რომ გერმანულ ენაში კონიუნქტივს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და კონიუნქტივის ფორმების, მიუხედავად მწირი 7,6%-სა, მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებლები არიან <sup>1</sup> (Jäger 1971: 269).

სამეტყველო ენაში მიმდინარეობს კონიუნქტივ II-ის თანდათანობით würde კონსტრუქციით, ე.წ. კონიუნქტივ III-ით ჩანაცვლების პროცესი, რაც საკმაოდ თვალსაჩინოა. იმდენად კომფორტულია ეს ფორმა, რომ ენის შემსწავლელს უადვილდება როგორც მისი წარმოება, ისე გამოყენება და შეუძლებელია ამ პროცესის შეჩერება.

### 3.1.5. დროის ფორმების ურთიერთმიმართება გერმანული ენის ინდიკატივსა და კონიუნქტივში

დროისა და მოდალობის ფორმების ურთიერთმიმართებისა და ფუნქციების უკეთ გაგებისათვის საჭიროა თითოეული კატეგორიის განხილვა.

გრამატიკული დროების მიმართებების განხილვისას განსხვავებული კილოს ფორმებთან გასათვალისწინებელია თითოეული დროის მნიშვნელობა. აწმყოს (Präsens) და წარსულის (Präteritum) განსხვავებული დროითი მნიშვნელობები ძირითადად ზმნის ინდიკატივის (თხრობითი კილოს) ფორმებს შეესაბამება, ხოლო კონიუნქტივის პარადიგმაში გრამატიკული დროების შეპირისპირება განსხვავებულ სურათს იძლევა, რომელსაც ქვემოთ დეტალურად შევხებით.

გერმანულში თხრობითი და კავშირებითი კილოს დროის ფორმების აღწერისას, თვალსაჩინოა შემდეგი გარემოება: ინდიკატივის (თხრობითი კილოს) დროის გრამატიკული ფორმები ემთხვევა შესაბამისი დროის ფორმებს, ხოლო კავშირებით კილოში (კონიუნქტივში) გერმანულ ენაში არსებული დროის ფორმები და ფუნქციები გადანაწილებულია კონიუნქტივის პარადიგმაში - კონიუნქტივ I-სა და კონიუნქტივ II-ს შორის.

გერმანული ენის შემსწავლელთათვის ხშირად გაუგებარია კონიუნქტივის დროის ფორმების შეთავსება აწმყოს, წარსულისა თუ მომავლის დროებთან. ჩვეული გრამატიკული დროის სისტემიდან ამოვარდნილი კონიუნქტივის დროის ფორმები ხშირად სირთულეს ქმნის ენის ათვისებისას. კონიუნქტივი (კავშირებითი კილო) გამოხატავს ყველა დროს, მხოლოდ თხრობითი კილოსგან (ინდიკატივისგან) განსხვავებული სტრუქტურითა და სისტემით. მაგალითად, პრეტერიტუმი კონიუნქტივი/კონიუნქტივ II თხრობითი კილოს წარსულის ფორმისგან განსხვავებით, გამოხატავს აწმყოს და მომავალს. თხრობითი და კავშირებითი კილოების ეს შეუსაბამობა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მთლიანად დროის სისტემის შეუსაბამობაზე ვისაუბროთ, თუმცა ეს ფაქტი, რომ პრეტერიტუმის ფორმა სხვადასხვა კილოში განსხვავებულ დროით მიმართებას გამოხატავს, ნამდვილადაა გერმანული ენის შემსწავლელისთვის პრობლემა, სულ მცირე საწყის საფეხურზე მაინც, სანამ მოხდება კონიუნქტივის ფორმების სრულყოფილი გააზრება და ათვისება.

ქვემოთ მოცემული სქემა იძლევა საშუალებას, რომ თხრობით კილოსა და კონიუნქტივის ფორმებს შორის დროითი შესატყვისობა თვალნათლივ წარმოჩინდეს:



Zeitformen	Indikativ	Konjunktiv I	Konjunktiv II
Präsens	<i>du meinst</i>	<i>du meinst</i>	
Präteritum	<i>du meintest</i>		<i>du meintest</i>
Perfekt	<i>du hast gemeint</i>	<i>du habest gemeint</i>	
Plusquamperfekt	<i>du hattest gemeint</i>		<i>du hättest gemeint</i>
Futur I	<i>du wirst meinen</i>	<i>du werdest meinen</i>	<i>du würdest meinen</i>
Futur II	<i>du wirst gemeint haben</i>	<i>du werdest gemeint haben</i>	<i>du würdest gemeint haben</i>

ამ სახით კარგად იკვეთება თხრობითი (ინდიკატივის) კილოს შესაფერისი პარადიგმა კონიუნქტივ I-სა და კონიუნქტივ II-ში. სქემაზე კარგად ჩანს რამდენიმე ცარიელი ადგილი: კონიუნქტივ I-ს აკლია პრეტერიტუმის და პლუსკუამპერფექტის შესატყვისი ფორმები, ხოლო კონიუნქტივ II-ს აკლია პრეზენსის/Präsens და პერფექტის/Perfekt შესატყვისები. მიუხედავად ასეთი გამოვლინებისა, კონიუნქტივის ორივე ფორმას გააჩნია გრამატიკული დროის ყველა ფორმა (აწმყო, წარსული, მომავალი). ისინი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან დროითი მიმართებით. კონიუნქტივ I -ის და კონიუნქტივ II-ის ფორმებს შორის *er gehe* და *er ginge* დროითი მიმართების თვალსაზრისით განსხვავება არ არსებობს, ორივე წარსულს გამოხატავს და სინონიმურია ამ ასპექტით.

მსგავსია შედგენილი ფორმების პერფექტისა და პლუსკუამპერფექტის დროებს შორის მიმართება. კონიუნქტივ I-ის და კონიუნქტივ II -ის ფორმებს *er habe gesagt* და *er hätte gesagt* არ ასებობს დროითი განსხვავება, თავს იჩენს მხოლოდ მოდალური განსხვავება. *er habe gesagt* მხოლოდ ირიბი ნათქვამისას გამოიყენება, ხოლო *er hätte gesagt* იხმარება ირეალური მიმართების (სურვილის, პირობითობის და ა.შ.) გამოსახატავად.

ეს სქემა გვიჩვენებს, რომ კონიუნქტივის ფორმები ხშირად დროით სინონიმურ შესატყვისებს ქმნიან, თუმცა გამოყენებისა და ფუნქციის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულნი არიან ინდიკატივის პარადიგმისგან და ქმნიან კონიუნქტივის პარადიგმას, რომელიც შეუცვლელია და ფართო გამოყენება აქვს.

გასათვალისწინებელია ის, რომ ზმნის ფორმების სისტემატიზება მორფოლოგიური თავისებურებების განსხვავებულობებზეა დაფუძნებული და ჩვენთვის ცნობილი ტრადიციული დროის ფორმები – პრეზენსი, პრეტერიტუმი, პლუსქუამპერფექტი და სხვ. ლათინური ენის გრამატიკაზე დაყრდნობითაა შედგენილი. დროითი ცნებები და მათი ფუნქციები ხშირად გამოხატავს ნაწილობრივ შეუსაბამობას და წინააღმდეგობრიობას, სრულიად არ ემთხვევა სამეცნიერო ნაშრომებში აღწერილ დროის ფუნქციებს. მაგ. შესაძლებელია მომავლის ფორმით/ფუტურუმ I-ით აწმყოს ფუნქციის გამოხატვა, როდესაც ვარაუდი ან ჰიპოთეზა იგულისხმება და მოსაუბრე ვარაუდობს, რომ ეს გამონათქვამი დადასტურდება მომავალში:

*Herr Meier hat die Rechnung bezahlt. Sie wird schon stimmen.*

ბატონმა მაიერმა ანგარიში გადაიხადა. ის სწორი იქნება.

შესაძლებელია პრეზენსის დროის ფორმით მომავლის გამოხატვაც, როდესაც მითითებულია დროითი გარემოება:

*Ich besuche dich morgen.*

მე შენ ხვალ მოგინახვლებ.

ეს მაგალითები კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ არსებობს პრინციპული განსხვავება გრამატიკულ დროის ცნებასა და იმ ფუნქციებს შორის, რომელიც ამ გრამატიკულ კატეგორიას შეესაბამება. გრამატიკული დროის ფუნქციაა, რომ წინადადებაში აღწერილი გარემოება დროის მიხედვით შეფასდეს. ამაში დახმარების გაწევა შეუძლია დროის გარემოებას.

თანამედროვე გერმანულში პრეზენსისა და პრეტერიტუმის მორფოლოგიური ოპოზიცია არაა იზოლირებული და მყარი მნიშვნელობის. საწინააღმდეგო გრამატიკული დროები პრეზენსი და პრეტერიტუმი ფუნქციონალური მნიშვნელობით უკავშირდება მოდალური კატეგორიების ინდიკატივის (თხრობითი) კილოს და კონიუნქტივის (კავშირებითი) კილოს შეპირისპირებას. ფუნქციონალური განსხვავება მოდალობის მიხედვით გრამატიკულ დროში, ან მოდალობაშია. მაგ. კონიუნქტივში დროითი განსხვავება ნაკლებია ინდიკატივთან (თხრობით კილოსთან) შედარებით –

კონიუნქტივის პერფექტის ფორმა ფუნქციურად ფარავს ინდიკატივის (თხრობითი კილოს) პრეტერიტუმის, პერფექტის და პლუსქუამპერფექტის ფორმებს.

Indikativ	Konjunktiv
Präteritum Perfekt Pluquamperfekt	Perfekt

კონიუნქტივ I-სა და კონიუნქტივ II-ში არსებობს ერთი მარტივი სასრული ფორმა, რომელიც ძირითადი დროის ფუნქციას ასრულებს და, ერთი მხრივ, წარსულის ფუნქციას პერფექტის ფორმით გამოხატავს და, მეორე მხრივ, რამოდენიმენაწილიანი ზმნის ფორმა werden + ინფინიტივით (Futur- bzw. würde + Infinitiv).

დუდენის (Duden 2009: 502-503) გრამატიკის მიხედვით ინდიკატივში (თხრობით კილოში) ორი მსგავსად ჩამოყალიბებული დროის ფორმა მოიპოვება, რომელსაც დროის ფორმა I (Tempusform I) და დროის ფორმა II (Tempusform II) შეიძლება ეწოდოს. კონიუნქტივ I-ის და კონიუნქტივ II-ის ანალოგიით მათ ინდიკატივ I-ად და ინდიკატივ II-ად მოიხსენიებენ. მათი ძირითადი დროითი ფორმებია პრეზენსი და პრეტერიტუმი.

დროის ფორმების შეპირისპირება (Temporaler Gegensatz) ასეთის სახით გამოიხატება:

Indikativ Tempusgruppe I		Indikativ Tempusgruppe II	
<b>Präsens</b> (Grundtempus) <i>(man) liest</i>	<b>Futur</b> <i>wird lesen</i>	<b>Präteritum</b> (Grundtempus) <i>las</i>	
<b>Präsensperfekt</b> (Perfekttempus) <i>(man) hat gelesen</i>	<b>Futurperfekt</b> <i>wird gelesen haben</i>	<b>Plusquamperfekt</b> (Perfekttempus) <i>hatte gelesen</i>	

ხოლო მოდალური შეპირისპირება (Modaler Gegensatz) შემდეგი სახით წარმოჩინდება დუდენის გრამატიკაში (Duden 2009:503):

Konjunktiv I		Konjunktiv II	
Grundtempus <i>(man) lese</i>	Futur <i>werde lesen</i>	Grundtempus <i>läse</i>	würde –Form <i>würde lesen</i>
Perfekttempus <i>(man) habe gelesen</i>	Futurperfekt <i>werde gelesen haben</i>	Perfekttempus <i>hätte gelesen</i>	würde –Perfekt <i>würde gelesen haben</i>

დროისა და მოდალობის ცნებები არა მარტო გრამატიკული სისტემის ზმნის ფორმებშია ერთმანეთთან გადაჯაჭვული, არამედ ხშირია მათი ცნებების გადაფარვა, განსაკუთრებით გრამატიკული დროის ფორმების შემთხვევაში.

### 3.1.6. კონიუნქტივ (Konjunktiv) II-ის, როგორც ირეალისის გამომხატველის, გამოყენების ნორმები და ფუნქციები გერმანულ ენაში

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ გერმანულ ენაში ზმნა კავშირებით კილოში სრულად აწარმოებს უღლების პარადიგმას, თუმცა სუსტად გამოხატული ფლექსიის გამო ყოველთვის ვერ ხერხდება კავშირებითი (*Konjunktiv*) და თხრობითი (*Indikativ*) კოლოების გამიჯვნა ერთმანეთისგან და ამ შემთხვევაში გამოიყენება დამხმარე კონსტრუქციები (*würde* კონსტრუქციები).

დუდენის (Duden 2009:516) გრამატიკის მიხედვით, კონიუნქტივ II გამოიყენება, რათა მოსაუბრის ნათქვამი არარეალურად, ჰიპოთეტურად იქნას გაგებული. იგი გამოხატავს თხრობით წინადადებაში გამოთქმული შინაარსის საპირისპირო აზრს. ამიტომ ხშირად კონიუნქტივის წინადადებებს თხრობითი წინადადება მოსდევს ან წინ უძღვის.

ა) *Mittlerweile hätte sie wahrscheinlich ein besser gelegenes Haus erwerben können, ....doch Zobeida hielt an ihrem Heim unter den ärmeren Bürgern Wandlingens fest...*

ამასობაში მას შეეძლო უკეთეს ადგილას მდგომი სახლი შეეძინა... მაგრამ ზობეიდა თავის სახლს ვერ ელეოდა...

(Kinkel, T. Die Puppenspieler 1995:14-15)

ბ) *Es wäre schön, wenn sie käme, aber sie wird wahrscheinlich nicht kommen.*

კარგი იქნებოდა, ის მოსულიყო, მაგრამ ის სავარაუდოდ არ მოვა.

კონიუნქტივ II-ი წარსულთან მიმართებით ა) წინადადებაში შესაძლებელია აღქმულ იქნას, როგორც ირეალობის გამომხატველი (ირეალისი), ხოლო კონიუნქტივ II მომავალთან მიმართებით ბ) წინადადებაში გამოხატავს პოტენციალურ შესაძლებლობას (Potenzialität).

კონიუნქტივ II-ის წარსული დროის ფორმა გამოიხატება კონიუნქტივ პლუსკუამპერფექტით (*hätte erworben/hätte erwerben können*), ხოლო აწმყო პრეტერიტუმის ფორმით (*käme, wäre...*).

ყველაზე ხშირად კონიუნქტივ II ირეალისის, არარეალურის გამოხატვის ფუნქციით გამოიყენება, თუმცა იგი ანაცვლებს ასევე კონიუნქტივ I-ს ირიბი თქმისას, როდესაც იგი ინდიკატივის ფორმას ემთხვევა. თუ კონიუნქტივ II-ის ფორმაც ემთხვევა ინდიკატივისას, ამ შემთხვევაში გამოიყენება *würde* + Infinitiv-ის კონსტრუქცია. რ. თიროფი (Thieroff 1992) *würde* + Infinitiv-ის ფორმებს კონიუნქტივის პარადიგმაში განიხილავს და ინდიკატივის და კონიუნქტივის ჰომონიმად მიაჩნია.

აღსანიშნავია, რომ კონიუნქტივს გააჩნია (ისევე როგორც თხრობით კილოს (Indikativ) ყველა პირისა და დროის ფორმა როგორც აქტივში, ასევე პასივში (ვნებით გვარში). თუ რომელიმე ფორმა არასრულყოფილადაა წარმოდგენილი, მაშინ მონათესავე ფორმებითა და კონსტრუქციებითაა ეს სიცარიელე ამოვსებული.

მ. ანდრაზაშვილი აღნიშნავს, რომ „კავშირებითი კილოს გამოყენებისას მხედველობაში მისაღებია ორი გარემოება, კერძოდ, არ არსებობს თანხვედრის *Konjunktiv*-სა და *Indikativ*-ის დროის ფორმებს შორის. კავშირებით კილოში (*Konjunktiv II*) *Präteritum*-ი იხმარება არა წარსულის არამედ აწმყოს გამოსახატავად. ასევე, *Plusquamperfekt*-ს ეკარგება წინარე წარსულის მნიშვნელობა და მხოლოდ წარსულის მნიშვნელობით გამოიყენება, ხოლო მომავლის გადმოცემა გარდა *Futur I/II*-სა ხორციელდება *Konditional I/II*-ის მეშვეობით" (ანდრაზაშვილი 2008: 143).

არარეალურის/ჰიპოთეტურის გამოხატვის ფუნქციით კონიუნქტივ II-ს ვხვდებით არარეალური პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (*Irrealer Konditionalsatz/Bedingungssatz*), არარეალურ ნატვრით წინადადებაში (*Wunschsatz*), არარეალურ შედარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (*Irrealer Komparativsatz/Vergleichssatz*), ირეალური დათმობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (*Irrealer Konzessivsatz/Einräumungssatz*), არარეალური შედეგის გარემოებათა დამოკიდებულ წინადადებაში (*Irrealer Folgesatz/Konsekutivsatz*), ასევე არარეალური პირობის/სურვილის/სინანულის გამომხატველ კონსტრუქციებსა თუ ენობრივ ფორმულებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავშირებითი კილოს უმთავრესი დანიშნულებაა მოდალური შინაარსის რეალიზება. Konjunktiv II-ის წრის ფორმები, როგორც არარეალურის და ჰიპოთეტურის გამომხატველის, გამოიყენება სხვადასხვა სახის წინადადებებში, მნიშვნელოვანი ძირითადი ფუნქციები და გამოყენების სფეროები აქვთ.

კონიუნქტივ II-ის უმნიშვნელოვანესი გამოყენების სფეროა **არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (*Irrealer Konditionalsatz/Bedingungssatz*)**, რომელშიც მკაფიოდაა ირეალურისადმი მიმართება გამოხატული. ამ ფუნქციას ასრულებს კონიუნქტივ II ქვეწყობილი წინადადების ორივე ნაწილში - მთავარსა და დამოკიდებულში. მისი გამოყენება აქ აუცილებელია, რადგან მხოლოდ მისი საშუალებით ხდება რეალურის და არარეალურის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში მოცემულია პირობა, რომლის დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული მთავარი წინადადების მოქმედება/შედეგი.

„თუ პირობა წარსულს ეხება და მისი შედეგი არარეალიზებული მოქმედებაა, მაშინ პირობაც მხოლოდ ჰიპოთეზად... რჩება. მსგავსი არარეალური ვითარების გამოსახატავად გამოიყენება Konjunktiv Plusquamperfekt-ი და Konditionalis II. ხოლო თუ პირობა მომავალს ეხება, მიუხედავად ჰიპოთეტურობისა, მაინც არის რაღაც გარკვეული ალბათობა მისი დაკმაყოფილებისა. შედეგად ვიღებთ პოტენციურ მოქმედებას, რომლის

გამოსახატავდაც Konjunktiv Präteritum -ს ან Konditionalis I-ს მივმართავთ. ნათქვამი სქემატურად ასე აისახება:"(ანდრაზაშვილი 2008: 163).

დრო	დროის ფორმა	მოქმედების სახეობა
ახლანდელი/ მომავალი	Konjunktiv Präteritum Konditionalis I	პოტენციური
წარსული	Konjunktiv Plusquamperfekt Konditionalis II	არარეალური

მოცემული სქემის შესაბამისად, კონიუნქტივ პლუსკუამპერფექტით (*Konjunktiv Plusquamperfekt*) ნაწარმოები არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (*irrealer Konditionalsatz*) წარსულს ეხება, და არარეალურ, შეუსრულებელ მოქმედებას გამოხატავს. მაგალითად:

*Wenn ich Zeit gehabt hätte, hätte ich dir geholfen.*

დრო რომ მქონოდა, მოგეხმარებოდი.

ასეთი სახის წინადადებებით გამოხატულია არარეალიზებული სიტუაცია, რეალურად დრო არ მქონდა და ვერ მოგეხმარე, რომელიც მომავალშიც არ შესრულდება, ვერ განხორციელდება. ირეალურია, პირველ რიგში, დამოკიდებული წინადადება, რომლითაც პირობა კონიუნქტივ II-ით გამოხატება და შეუსრულებელ/არარეალურ ქმედებას გამოხატავს, შესაბამისად შედეგიც შესაძლოა პირობიდან გამომდინარე შეუსრულებელი (არეალური, არარეალიზებადი) აღმოჩნდეს.

*Wenn ich Zeit hätte, hülfe/würde ich dir helfen.*

დრო რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი.

კონიუნქტივ II-ით (პრეტერიტუმით) გამოხატული პირობა, რომელიც აწმყოსა და მომავალისკენაა მიმართული, პოტენციურ შესაძლებლობას გამოხატავს, როგორც სქემაზეა გამოსახული.

არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (*irrealer Konditionalsatz*) იწარმოება კავშირების *wenn, falls, sofern* ან ზმნის უღლებადი ფორმის საწყისი ფორმის საშუალებით.

*Wenn mein Vater sich in Augsburg nicht mit seinen Eltern zu Tode gelangweilt hätte, wäre er auch nicht nach Venedig gekommen.*

მამაჩემს თავის მშობლებთან ერთად აუგსბურგში ძალიან რომ არ მოეწინა, ვენეციაში არ წავიდოდა. Kinkel, Tanja (1993): Die Puppenspieler, S. 21-22.

*Wäre Richard älter gewesen, ...dann hätte er das leise Stöhnen...erkannt.*

რიხარდი რომ უფრო მოზრდილი ყოფილიყო, შეძლებდა მსუბუქი კვნესის ამოცნობას.

Kinkel, Tanja (1993): Die Puppenspieler, S. 31

პირობის გამოსახატავად შესაძლებელია გამოყენებული იყოს ასევე *würde* ფორმა.

• **არარეალური ნატვრის გარემოებითი წინადადება (*Irrealer Wunschsatz*)**

სტრუქტურით არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ის მთავარი წინადადების გარეშე იხმარება. იგი გამოხატავს მოსაუბრის სურვილს, ნატვრას, რომელიც არარეალურად (შეუსრულებლად) წარმოჩინდება. ამ სახის წინადადებები ყოველთვის კონიუნქტივ პრეტერიტუმის (Konjunktiv II) საშუალებით გამოიხატება, რომელიც ვითარების არარეალურობას უსვამს ხაზს. ნატვრის ან სურვილის გასაძლიერებლად გამოიყენება მოდალური ნაწილაკები (Partikel) *doch, bloß, nur*, რომელთაც არანაირი ლექსიკური დატვირთვა არ გააჩნიათ, მხოლოდ ემოციურ შეფერილობას აძლიერებენ, ამძაფრებენ სურვილს/ნატვრას. მაგალითად:

*Wenn mein Vater doch gesund wäre!* (ნეტავ, მამაჩემი ჯანმრთელი იყოს!)

*Wenn ich bloss ein neues Auto hätte!* (ნეტავ, ახალი მანქანა მყავდეს!)

არარეალური ნატვრის წინადადებები მთავარი წინადადების გარეშე იხმარებიან და მათ ბოლოს ძახილის ნიშანია. ხშირად ისინი *wenn* კავშირის გარეშეც იხმარება, ასეთ შემთხვევაში ზმნა წინადადების პირველ ადგილზე დგას და წინადადება კი ძახილის ნიშნით ბოლოვდება. მაგალითად:

*Wenn mein Vater gesund wäre/Wäre doch mein Vater gesund!* (იხ.ზ.)

*Wenn ich bloß ein Auto hätte/Hätte ich bloß ein neues Auto!* (იხ.ზ.)



Konjunktiv II-ის წრის ფორმებში დროის მნიშვნელობა მოდალური მნიშვნელობის ფონზე უკანა პლანზეა გადაწეული. მაგალითად, ნატვრით წინადადებაში *Wenn er doch käme!* კონიუნქტივ პრეტერიტუმი გამოხატავს ნატვრას (სურვილს) და არა წარსულის ფაქტს.

• **არარეალურ შედარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას (Irrealer Komparativsatz/Vergleichssatz)** განსხვავებულად მოიხსენიებს სხვადასხვა ავტორი. წინადადებას, რომლებიც *als, als ob, als wenn* (თითქოს, თითქოსდა) კავშირით იწყება, დუდენის გრამატიკა უწოდებს "modale Relativsätze", ხოლო გ. ჰელბიგი და ი. ბუშა (Helbig/Buscha 1996: 200) ჰიპოთეტურ შედარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას ("hypothetischer Komparativsatz") უწოდებენ, ხშირად კი გვხვდება არარეალური შედარების გარემოებით დამოკიდებული წინადადება ("irrealer Vergleichssatz") სახელწოდებით (Engel 1996: 419, Schulz/Griesbach 1972: 53). როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, ასეთი სახის წინადადებებით გამოიხატება შედარება მთავარი და დამოკიდებული წინადადებით გამოხატულ ქმედებებს შორის. მთავარ წინადადებაში გამოხატული მოქმედება დამოკიდებული წინადადების მეშვეობით შედარებით დეტალურადაა აღწერილი. ირეალური შედარების გარემოებით დამოკიდებული წინადადება გამოხატავს ისეთ შედარებას, რომელიც არაა რეალური. ძირითადად მთავარ წინადადებაში გამოხატულია თხრობითი კილოთი გადმოცემული რეალური ვითარება, ხოლო დაქვემდებარებულ წინადადებაში არარეალური შედარება, რომელიც კონიუნქტივ პრეტერიტუმის ფორმებით გადმოიცემა. ირეალურ დაქვემდებარებულ წინადადებას წინ უსწრებს გრძნობის ან აღქმის გამომხატველი ზმნები, მაგალითად: *sehen, tun, sich fühlen, reden usw.*

*Er tut so, als ob er sehr reich wäre.*

ის ისე იქცევა, თითქოსდა ძალიან მდიდარი იყოს. (იგულისხმება, რომ სინამდვილეში არაა მდიდარი).

*Er sieht so aus, als ob er krank wäre.*

ის ისე გამოიყურება, თითქოსდა ავად იყოს (იგულისხმება, რომ სინამდვილეში სულ არაა ავად).

ეს კავშირები *als*, *als ob* და *als wenn* მიგვანიშნებენ, რომ ასეთი ტიპის წინადადებებისას არარეალურ, ჰიპოთეტურ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

თუმცა ირეალური შედარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (*irrealer Vergleichsatz*) Konjunktiv II-ის ხმარება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამ სახის წინადადებებში შესაძლებელია მისი შეცვლა Konjunktiv I-ის ან Indikativ -ის ფორმით.

*Er benimmt sich so, als ob er alles wüsste/wisse/weiß.*

ისე იქცევა, თითქოსდა ყველაფერი იცოდეს.

ასეთი სახის წინადადებებში სამივე მოდალური ფორმის გამოყენებაა შესაძლებელი. აქ ირეალობას არა იმდენად Konjunktiv II, არამედ კავშირები გამოხატავენ, ამიტომ რომელი მოდალური ფორმა იქნება შერჩეული, მნიშვნელობა არ აქვს.

• **არარეალური დათმობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება (*Irrealer Konzessivsatz/Einräumungssatz*)** მთავარ წინადადებას უერთდება კავშირებით *auch wenn/sogar wenn/ selbst wenn* (მაშინაც კი თუ/ იმ შემთხვევაშიც კი თუ) და ხაზს უსვამს მთავარი წინადადების მოქმედების განუხორციელებლობას თუნდაც დამოკიდებულ წინადადებაში გამოხატული შესაძლებლობის პირობებში. დროის ფორმები ფუნქციათა მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

დრო	დროის ფორმა
ახლანდელი/მომავალი	<i>Konjunktiv Präteritum/Konditionalis I</i>
წარსული	<i>Konjunktiv Plusquamperfekt/KonditionalisII</i>

(ანდრაზაშვილი 2008: 168):

ნაწილაკები *auch*, *sogar*, *selbst* დიდ როლს თამაშობენ დათმობითი მნიშვნელობის ინტერპრეტაციისას. პირობით-შედეგობითი მნიშვნელობა ამ ნაწილაკების მეშვეობით პირობით-არაშედეგობით მნიშვნელობას იძენს.

მაგალითად:

*Auch wenn ich Zeit hätte, würde ich dich nicht besuchen.*

დროც რომ მქონდეს, შენ მაინც არ მოგინახულებდი.

სავსებით ლოგიკურია, რომ როდესაც დრო აქვს ადამიანს, ცდილობს გონივრულად გამოიყენოს და თავისუფალ დროს მონახულოს ახლობლები. ამიტომ ლოგიკური ქმედება იქნებოდა, დრო მაქვს - მოგინახულებ. თუმცა არარეალურ დათმობით წინადადებაში ეს დამოკიდებულება ასე წარმოჩინდება დრო მაქვს - არ მოგინახულებ. აქ ხაზგასმულია, რომ მონახულება არა დროის სიმცირის გამოა შეუძლებელი, არამედ სხვა მიზეზი უდევს საფუძვლად.

არარეალური პირობის გარემოებითი წინადადების (irrealer Konditionalsatz) საპირისპირო მნიშვნელობას გამოხატავს არარეალური დათმობის გარემოებითი წინადადება (irrealer Konzessivsatz) მასში არარეალურ პირობა-შედეგობითობას უპირისპირდება პირობა + არ შემდგარი მოქმედება, იგი უარყოფს პირობა-შედეგობითობას. ამ წინადადებების საპირისპირო მნიშვნელობების გამოხატულებას შემდეგი მაგალითები:

*Wenn es schneien würde, ginge ich nicht spazieren (irrealer Konditionalsatz)*

რომ ითოვოს, სასეირნოდ არ წავიდოდი.

*Auch wenn es schneien würde, würde ich spazieren gehen. (irrealer Konzessivsatz)*

მაშინაც კი, რომც ითოვოს, სასეირნოდ წავიდოდი.

• **არარეალური შედეგის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (im irrealen Konsekutivsatz/Folgesatz)**, რომელიც მთავარს უკავშირდება შემდეგი კავშირებით *zu...als dass /so..., dass /ohne dass*, მნიშვნელოვანია, რომ ეს კავშირები მთლიანად თავის თავზე იღებენ მოდალური შინაარსის გამოხატვის ფუნქციას. სწორედ ამიტომ დასაშვებია, რომ დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა იდგეს როგორც კავშირებით ასევე თხრობით კილოში. მაგალითად:

*Es ist zu spät, als dass ich den Bus noch erreichen könnte. (irrealer Konsekutivsatz)*

მეტისმეტად გვიანია, ისე რომ ავტობუსის მისწრებასაც ვერ შევძლებდი.

*Es ist so spät, dass ich den Bus nicht erreichen kann. (Indikativ Präsens)*

ისე გვიანია, რომ ავტობუსის მისწრებას ვერ შევძლებ.

ეს ორივე წინადადება იმაზე მიუთითებს, რომ მოსაუბრისთვის ისეთი გვიანია, რომ ეს არის მიზეზი, რის გამოც ავტობუსს ვერ მიუსწრო. ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა კონსტრუქციითაა გადმოცემული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ კავშირს *zu...*, *als dass* შინაგანი უარყოფა გააჩნია და უარყოფით მნიშვნელობას გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკის დართვის გარეშე. ამ ტიპის წინადადებები უკუთქმით შინაარსს გამოხატავენ.

*Das Wasser ist zu kalt, als dass man darin baden könnte/kann.*

წყალი მეტისმეტად ცივია, რომ მასში ბანაობა შეიძლებოდეს.

როგორც არარეალური შედარების გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში (im irrealen Komparativsatz/Vergleichssatz), არარეალური შედეგის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაშიც (im irrealen Konsekutivsatz/Folgesatz) მთავარი წინადადება თხრობით კილოშია (Indikativ) მოცემული, დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება კონიუნქტივის ფორმები. ორივე სახის წინადადებებში ირეალურობა კავშირებით გამოიხატება.

*ohne dass* (ისე რომ არ) კავშირი დამოკიდებულ წინადადებაში დასახელებულ შედეგს უკუთქმით მნიშვნელობას ანიჭებს. მსგავსი სახის წინადადებებშიც შესაძლებელია ზმნას ჰქონდეს როგორც კავშირებითი კილოს (Konjunktiv), ასევე თხრობითი კილოს (Indikativ) ფორმები.

*Der Schüler antwortete leise, ohne dass ihm jemand zuhörte/zuhören könnte.*

მოსწავლე პასუხობდა ხმადაბლა, ისე რომ მისი გაგება/მოსმენა არავის შეეძლო.

გერმანულ ენაში ირეალისის (არარეალურის) გამოხატვის საშუალებები მრავალფეროვანია. კონიუნქტივი (Konjunktiv II) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ამ მიმართებით. ენის სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, უცხო ენის სტრუქტურის შედარება საკუთართან არის ის გზა, რომელიც მსგავსება-განსხვავებების ფონზე რეალურ ენობრივ სურათს დაგვიხატავს და უცხო ენის ათვისებას გაგვიადვილებს.

### 3.2. ქართული და გერმანული ენების შეპირისპირება ირეალისის გამოხატვისას და ამ ენების მორფო-სინტაქსური თავისებურებანი

გერმანულ ენაში ირეალისის გამომხატველი ფორმების შესწავლის პარალელურად, მიზანშეწონილია განხილულ იქნას ქართულ ენაში შესაბამისი სტრუქტურის ან შესატყვისების არსებობა, რაც საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, უკეთესად გავანალიზოთ გერმანული ირეალისი და, მეორე მხრივ, წარმოვადგინოთ ის მეთოდური მითითებები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა, როცა ამ გერმანულ გრამატიკულ კატეგორიას ვასწავლით ქართველ სტუდენტებს ან ქართული ზმნის მწკრივთა სისტემას ვაცნობთ ქართულის შემსწავლელ გერმანულ სტუდენტებს.

ქართულ ენაში არ არსებობს ირეალისის კატეგორია. ირეალისის ფორმები გაბნეულია ქართული ზმნის სხვადასხვა მწკრივში.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ირეალისის გამომხატველი სტრუქტურების მოძიება და აღქმა, საჭიროა გაანალიზდეს ქართული ზმნის სისტემა და მისი მიმართება ირეალისის გამომხატველ გერმანულ გრამატიკულ სტრუქტურებთან.

ქართული აგლუტინაციური ენაა, რომელსაც საკმაოდ რთული ზმნის სისტემა აქვს. ინდოევროპული და ზოგი სხვა ენისაგან განსხვავებით, ქართულში არ გვხვდება არტიკლი და გრამატიკული სქესის განმასხვავებელი ნიშანი. ზმნა ქართულში ყველაზე რთული მეტყველების ნაწილია. სირთულეს, უპირველესად, განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე და ზმნის მრავალპირიანობა. ევროპული ენებისაგან განსხვავებით ქართული ზმნის ერთ-ერთი თავისებურება მისი მრავალპირიანობაა, კერძოდ, ერთსა და იმავე დროს ზმნა შეიძლება მორფოლოგიურად დაკავშირებული იყოს რამდენიმე პირთან, რაც საკმაოდ კომპლექსურს და რთულად აღსაქმელს ხდის მას ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, შემსწავლელთათვის. როგორც დ. მელიქიშვილი აღნიშნავს, “ზმნის პირის გამოხატვის სისტემაში, სუბიექტურის გარდა, ობიექტური პირიც აისახება (ქართული ზმნა „პოლიპერსონალურია“), რაც, თავის მხრივ, იწვევს ქართული სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის (სახელსა და ზმნას შორის პირისა და ბრუნვების მიხედვით მართვისა და რიცხვში შეთანხმების მექანიზმის) განსხვავებას ევროპული ენების ზმნასა

და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის სტრუქტურა-მექანიზმისგან“ (მელიქიშვილი 2014: 5-6). ქართულ ზმნაში ერთდროულად შესაძლებელია აისახოს რამდენიმე პირი – სუბიექტურიც და ობიექტურიც, შესაბამისად, ზმნა ერთპირიანია (*იზრდება ის, დგას ის...*), ორპირიანია (*მხატავს ის მე, გემალება ის შენ...*), სამპირიანია (*გიკითხავს ის შენ მას, მიხატავს ის მე მას...*) და იშვიათად, მაგრამ მაინც შესაძლებელია ოთხპირიანიც იყოს (*დამიჩაგვრინო შენ მე ის მას*). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ქართული ენის სინტაქსური სტრუქტურა (სახელსა და ზმნას შორის პირისა და ბრუნვის ნიშნების მართვა და რიცხვში შეთანხმება) განსხვავდება გერმანულ ენაში ზმნასა და სახელს შორის არსებული სტრუქტურისა და მექანიზმისგან, რაც განაპირობებს განსხვავებულ სინტაქსურ სტრუქტურასა და მექანიზმს წინადადებაში.

გერმანული ზმნის მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიების (დრო, კილო, გვარი, გარდამავლობა) გარდა, ქართულ ზმნას გააჩნია ისეთი გრამატიკული გამოხატულების ფორმები, როგორებიცაა დესტინაციური რელაცია ანუ ვერსია (*კუთვნილებითი ხასიათის ვუკეთებ, მიკეთებს*), ლოკატიური რელაცია (*ახატავს, აწერს*), კაუზატიური რელაცია (*აკეთებინებს*) და ა.შ.

ზმნა ფორმაცვალებადი, უღლებადი სიტყვაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი იცვლება მწკრივების მიხედვით (შანიძე 1980: 215-218). ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში 3 სერია და 11 მწკრივია გამოყოფილი. მწკრივთა დაჯგუფება ხდება საუღლებელი ფუძის პრინციპზე დამყარებით. ყველა ზმნას არა აქვს შესაძლებლობა ყველა მწკრივის ფორმათა წარმოებისა. ზმნას შეიძლება ჰქონდეს I სერიის მწკრივთა ფორმები, მაგრამ არ ეწარმოებოდეს II და III სერიის ფორმები.

ქართულში არ არსებობს გერმანულის მსგავსი ირეალისის კატეგორია და ირეალისის გაგება, ფაქტობრივად, სხვადასხვა ქართულ მწკრივში აღინიშნება იგი და რთულია ირეალისის ფორმების შესაბამისობის მოძებნა გერმანულთან მიმართებით. თუმცა ის ფორმები, რომლებიც არსებობს და რომელთა გაანალიზებაცაა შესაძლებელი, მოგვცემს გარკვეულ წარმოდგენას ამ მიმართულებით.

პირველ სერიაში გამოირჩევა აწმყოს და მომავლის წრეები, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა განსხვავებულ ფორმებად:

### აწმყოს ჯგუფი/Präsensgruppe

#### a) აწმყოს წრე/Präsenskreis

1. აწმყო/ Präsens
2. უწყვეტელი/Imperfekt
3. აწმყოს კავშირებითი/Konjun. Präsens

#### b) მყოფადის წრე/Futurkreis

1. მყოფადი /Futur
2. ხოლმეობით-შედეგობითი/Konditional
3. მყოფადის კავშირებითი/Konjun. Futur

პირველი სერიის მყოფადის წრეში ვხვდებით ხოლმეობით-შედეგობითის (Konditional) ფორმას, რომელიც გერმანულში არსებულ აწმყოს კონდიციონალს (*Konditional Präsens -ich würde schreiben*) და ასევე წარსულის კონდიციონალს (*Konditional Perfekt - würde geschrieben haben*) შეესატყვისება. აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში მხოლოდ ამ ერთი ფორმით (ხოლმეობით-შედეგობითით) გამოიხატება გერმანულში არსებული კონდიციონალის აწმყოს და წარსულის ფორმები. სწორედ ეს წარმოშობს სირთულეს როგორც ქართველი სტუდენტებისათვის, რომლებიც გერმანულს სწავლობენ, ასევე გერმანულენოვანი სტუდენტებისათვის, რომლებიც ქართულს სწავლობენ.

შესატყვისის ძიებისას გერმანულენოვანი სტუდენტი პირველი (მშობლიური) ენის სტრუქტურებს იშველიებს, სადაც, ფაქტობრივად, ირეალისის ორი ფორმაა და მათგან რომელი მიესადაგება ქართულში არსებულ ერთ ფორმას, გაუგებარია. ეს ქართულ ხოლმეობით-შედეგობითს ძნელად აღსაქმელს ხდის მათთვის და სერიოზულად ართულებს ქართულის სწავლების პროცესს.

ხოლმეობით-შედეგობითის (Konditional) ფორმა გარდამავალ ზმნებში მყოფადის ფუძეზე -დ(-d)სავრცობის დამატებით იწარმოება (გარდაუვალი ზნების ასეთ შემთხვევაში -ოდ/od სავრცობს დაირთავენ).

#### მხ. რიცხვი/Singular

- I. მე და-ვ-წერ-დ-ი
- II. შენ და-წერ-დ-ი
- III. ის და-წერ-დ-ა

#### მრ. რიცხვი/Plural

- ჩვენ და-ვ-წერ-დ-ით
- თქვენ და-წერ-დ-ით
- ისინი და-წერ-დ-ნენ

პირველ სერიაში არსებული კავშირებითის ფორმები პირველ კონიუნქტივად განიხილება, რომელსაც ორი ფორმა აქვს: აწმყოს კონიუნქტივი და მყოფადის კონიუნქტივი, რომლებიც ერთმანეთისგან ასპექტით განსხვავდება. აწმყოს კონიუნქტივი (Konjunktiv Präsens) აწმყოს (Präsens) ფუძიდანაა ნაწარმოები, რომელსაც სავრცობი გარდამავალ ზმნებში **დ/-d** (გარდაუვალ ზმნებში **-ოდ/od**, მაგ. *ემალეობოდა, იმალეობოდა* და სხვ.) და აწმყოს კავშირებითის მწკრივის ნიშანიც ემატება -ე და ეს ნიშანი პირველ და მეორე პირში გვაქვს, ხოლო მესამეში - იკარგება, რადგან მას ამოაგდებენ ხმოვნის შემცველი -ეს და -ნენ სუფიქსები. აწმყოს კონიუნქტივს (Konjunktiv Präsens) უღლებისას ფუძეზე ემატება ასევე პირის ნიშნები და შემდეგი სახით გამოიხატება:

მხ. რიცხვი/Singular	მრ. რიცხვი/Plural
I. მე ვ-წერ-დ-ე	ჩვენ ვ-წერ-დ-ე-თ
II. შენ წერ-დ-ე	თქვენ წერ-დ-ე-თ
III. ის წერ-დ-ე-ს	ისინი წერ-დ-ნენ

მყოფადის კავშირებითი (Konjunktiv Futur) ფორმა განსხვავდება აწმყოს კავშირებითის (Konjunktiv Präsens) ფორმისგან, ისევე როგორც აწმყოს (Präsens) ფორმა მყოფადის (Futur) ფორმისგან ზმნისწინით **და-**. მყოფადის კავშირებითის მწკრივის ნიშანია **-ჲ**, რომელიც ყველგან გვხვდება, გარდა მრავლობითის მესამე პირის (-ნენ სუფიქსი, როგორც ხმოვნის შემცველი სუფიქსი, რედუქციის ძალით ამოაგდებს მას).

მხ. რიცხვი/Singular	მრ. რიცხვი/Plural
I. მე და-ვ-წერ-დ-ე	ჩვენ და-ვ-წერ-დ-ე-თ
II. შენ და-წერ-დ-ე	თქვენ და-წერ-დ-ე-თ
III. ის და-წერ-დ-ე-ს	ისინი და-წერ-დ-ნენ

ქართულში ხოლმეობით-შედეგობითი (Konditional) იშვიათად იღებს დროის ფუნქციას. იგი გამოხატავს თანმიმდევრულ, ჩვეულებადქცეულ მოქმედებას წარსულ დროში. ხოლმეობით-შედეგობითი (Konditional) მყოფადის წრეს ეკუთვნის, მაგრამ წარსულში დასრულებულ ქმედებას გამოხატავს. მას ემატება ზმნიზედა *ხოლმე*, რომელიც გერმანულში „ყოველჯერს“ გულისხმობს.





გერმანულ ენაში კონდიციონალის და კონიუნქტივის გამოყენება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებში არ ითვალისწინებს განსაკუთრებულ წესს და ხშირად ნებაყოფლობითია.

შესაბამისად, ქართულში მხოლოდ ასეთი ფორმით წარმოებული წინადადებები გვხვდება:

*შენ რომ მოხვდოდე (აწმყ. კავშ.), გამიხარდებოდა (ხოლომ.-შედ.).*

Wenn du kämest (NS-Konjunktiv), würde ich mich freuen (HS-Konditional).

გერმანულში არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება ხშირად wenn (როცა/რომ) კავშირით იწყება.

*Wenn du den Brief schriebest, würde ich ihn sofort abschicken.*

შენ რომ წერილს დაწერდე (NS-Konjunktiv Präsens), ახლავე გავაგზავნიდი (HS-Konditional).

გერმანულის მსაგავსად ქართულშიც არსებობს წინადადებები, სადაც პირობა ყოველთვის დამოკიდებული წინადადების ფორმით არ არის გადმოცემული და მხოლოდ იგულისხმება.

*რას გააკეთებდი შენ ჩემ მაგივრად?*

Was würdest du an meiner Stelle tun?

*შენ ადგილას ახლავე დავრეკავდი მეგისტან.*

An deiner Stelle würde ich gleich Megi anrufen.

ასეთი სახის დამოკიდებული წინადადებები ერთგვარად ელიპტურია, შემოკლებულია. სრული სახით ასე იქნებოდა:

რას გააკეთებდი შენ, ჩემ მაგივრად რომ იყო?

შენ ადგილას რომ ვიყო, ახლავე დავრეკავდი მეგისტან.

სწორედ ამიტომაც არ არის გადმოცემული პირობა დამოკიდებულ წინადადებაში და მხოლოდ იგულისხმება.

მომავლის მნიშვნელობით ქართულში როგორც დამოკიდებულ, ასევე მთავარ წინადადებაში მომავალი დროის ფორმები გამოიყენება მაშინ, როდესაც გერმანულ ენაში მომავლის გამოსახატავად ხშირად აწმყოს ფორმები ჩნდება დროის აღმნიშვნელ გარემოებასთან ერთად.

*Ich komme morgen und bringe meine Dokumente mit.*

მე ხვალ მოვალ და მოვიტან ჩემს დოკუმენტებს.

ქართული და გერმანული ზმნური სისტემებისა და ირეალისის გამომხატველ ფორმათა თავისებურებანი მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ, რაც გერმანულ ენაში ირეალისის ფორმის Konjunktiv II-ის მეშვეობით გამოიხატება, თავმოყრილია ქართულში ზმნის პირველ სერიაში.

ქართულ ენაში **ზმნის მეორე სერია (Aorist-Gruppe)** მოიცავს ორ მწკრივს: Aorist/წყვეტილსა და II. Konjunktiv/Optativ/II კავშირებითს. აორისტი (ბერძნული აორისტის მსგავსად) გამოხატავს წარსული დროის ფორმას. გერმანული ენის წარსული დროის ფორმის Präteritum/Imperfekt-ისგან (ამ დროის ფორმას ქართულში პირველი სერიის აწმყოს წრის უწყვეტელი შეესაბამება) განსხვავებით, აორისტი გამოხატავს წარსულში დასრულებულ მოქმედებას (გერმანულ ენაში Perfekt-ის ფორმა შეესატყვისება).

ქართულ ენაში აწმყოსა და მომავლის მსგავსად აორისტი ითვლება ძირითად ფორმად, საიდანაც შესაძლებელია სხვა დროის ფორმების წარმოება. განასხვავებენ აორისტის იმპერფექტულ და პერფექტულ ფორმას, რომელთაგანაც ჩვეულებრივ პერფექტული გამოიყენება. გარდამავალი ზმნის პერფექტული ფორმა იწარმოება და-ზმნისწინის (და- ზმნისწინი გამოიყენება მომავლის ფორმის საწარმოებლად) დართვით აორისტის იმპერფექტულ ფორმაზე.

Präsens	Futur	Imperf. Aorist	perfek. Aorist
ვწერ	და-ვწერ	ვწერე	და-ვწერე
ვხატავ	და-ვხატავ	ვხატე	და-ვხატე

იმპერფექტული აორისტის საწარმოებლად აწმყოს ფორმა გამოიყენება, ხოლო პერფექტული აორისტის საწარმოებლად - მომავლის ფორმა. განასხვავებენ სუსტ (-ე

დაბოლოებით) და ძლიერ აორისტს (ი- დაბოლოებით) პირის ნიშნების დაბოლოების მიხედვით.

მხ. რიცხვი/Singular		მრ. რიცხვი/Plural	
1. -ე/-e/ და-ვ-წერ-ე	-ი/-i/და-ვ-დგ-ი	-ე-თ/-e-t/ და-ვ-წერ-ე-თ	-ი-თ/-i-t/ და-ვ-დგ-ი-თ
2. -ე/-e/ და-ვ-წერ-ე	-ი/-i/ და-დგ-ი	-ე-თ/-e-t/და-წერ-ე-თ	-ი-თ/-i-t/ და-დგ-ი-თ
3. -0/ -და-წერ-ე-ა	-0/-და-დგ-ე-ა	-ე-ს/-e-s/და-წერ-ე-ს	-ე-ს/-e-s/ და-დგ-ე-ს

ქართულ ენაში გარდამავალი ზმნის გრამატიკული სუბიექტი გვხვდება სახელობითი ან მოთხრობითი (ერგატივი) ბრუნვის ფორმით. ქართულში სუბიექტი გვხვდება მიცემითშიც. კერძოდ, გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში: ბავშვ-ს დაუწერია წერილი.

მოთხრობით (ერგატივის) ბრუნვაში ყველა არსებით, რიცხვით და ზედსართავ სახელს აქვთ დაბოლოებები *-მა, თანხმოვანფუძიან სახელებთან, -მ* კი - ხმოვანფუძიანებთან (*kal-ma/ქალ-მა, deda-m/დედა-მ, mama-m/მამა-მ*).

გერმანული ენისგან განსხვავებით, სადაც ქვემდებარე მხოლოდ სახელობით (Nominativ) ბრუნვაში დგას, ქართული ქვემდებარე გარდამავალ ზმნასთან ბრუნვაცვალებადაა, პირველი სერიის ფორმებთან სახელობითშია, მეორე სერიის ფორმებთან - მოთხრობითში, ხოლო მესამე სერიის ფორმებთან - მიცემითში. ცვალებადაა პირდაპირი დამატებაც: პირველ სერიაში მიცემით ბრუნვაშია, მეორე და მესამე სერიაში - სახელობითში. გერმანულში, ქართულისაგან განსხვავებით, პირდაპირი დამატება Akkusativ-შია.

გასათვალისწინებელია გერმანული შემსწავლელისთვის შემდეგი თავისებურებაც - ქართულში ქვემდებარე ერთპირიან გარდაუვალ ზმნასთან ბრუნვაუცვლელია, სამივე სერიაში სახელობით ბრუნვაშია, ხოლო, თუ გარდაუვალი ზმნა ორპირიანია ქვემდებარე აქაც ბრუნვაუცვლელია, სახელობითშია, ასევე ბრუნვაუცვლელია ირიბი დამატებაც, იგი სამივე სერიაში მიცემითშია.

Präsens: ბავშვ-ი (Subj. Nom.) წერს წერილ-ს (dir. Obj. Dat./Akk.)

Das Kind schreibt einen Brief.

Aorist: ბავშვ-მა (Subj. Erg.) დაწერა წერილ-ი (dir. Obj. Nom.)

Das Kind hat den Brief geschrieben.

გერმანულ ენაში პირდაპირი დამატების ბრუნვა არ იცვლება, ყოველთვის Akkusativ-ია, მაშინ როდესაც ქართულში წინადადებაში გამოყენებული დროის მიხედვით იცვლება პირდაპირი დამატების ბრუნვა (მიცემითს ჩაენაცვლება სახელობითი).

გარდამავალი ზმნების აორისტის ფორმის თავისებურება შესაძლოა აიხსნა იმით, რომ იგი ქართულში აქტიურ, წარსულში მომხდარ დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც აღიქმება, როგორც მდგომარეობა ან ფაქტი. გერმანულ ენაში აორისტი შეესაბამება აქტიური კილოს პერფექტის (Perfekt) ფორმას.

ქართულ ენაში პირველ და მეორე სერიაში ქვემდებარის და პირდაპირი დამატების ბრუნვების თავისებურება გარდამავალ ზმნებთან ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

პირველ სერიაში ქვემდებარე დგას სახელობით ბრუნვაში, ხოლო პირდაპირი დამატება - მიცემითში, ხოლო მეორე სერიაში სუბიექტი დგას მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში) და პირდაპირი დამატება - სახელობით ბრუნვაში.

	I სერია	II სერია
ქვემდებარე/Subjekt	სახელობითი ბრუნვა/Nominativ	მოთხრობითი ბრუნვა/Ergativ
პირდაპირი დამატება/direktes Objekt	მიცემითი ბრუნვა/Dativ	სახელობითი ბრუნვა/Nominativ

გერმანული ენისაგან განსხვავებით, ქართულში აორისტის გამოყენება მის პერფექტულ ან იმპერფექტულ ფორმაზეა დამოკიდებული.

ა) პერფექტული აორისტი გერმანულში პერფექტის საშუალებით გადმოიცემა და ეს ეხება დასრულებულ ქმედებას წარსულში.

*მე დავწერე წერილი და გავუგ ზავნე დედას.*

Ich habe den Brief geschrieben (Perfekt) und habe ihn der Mutter geschickt (Perfekt).

ბ) გერმანულ ენაში დასრულებული ქმედება (თხრობაში, ისტორიებში, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში პარალელურად მიმდინარე წარსულში მომხდარ ქმედებებში...) შესაძლოა ასევე იმპერფექტის მეშვეობითაც გადმოიცეს.

*როდესაც ბავშვი სკოლიდან დაბრუნდა, დედა საჭმელს ამზადებდა.*

Als das Kind aus der Schule kam (Impf.), kochte die Mutter das Essen (Impf.).

გ) გერმანულ ენაში იმპერფექტი გამოხატავს როგორც განგრძობით, ერთჯერად ქმედებას, ასევე დასრულებული მოქმედებების ჯაჭვს. ქართულში ამ ტიპის წინადადებები ითარგმნება წყვეტილის (აორისტის) და უწყვეტელის სტრუქტურით, რაც გერმანულ სპეციფიკურ ვითარებას მიესადაგება, რადგან იქ ორივე ზმნა იმპერფექტშია.

*მე ვმუშაობდი პროექტზე, როდესაც მან დარეკა.*

Ich arbeitete (Imperf.) an dem Projekt, als er anrief (Imperf.).

დ) წინარე წარსულის (Plusquamperfekt) გამოსახატავად იშვიათად გამოიყენება პერფექტული აორისტის ფორმა.

*ვანო, როგორც კი მიიღო წერილი, მაშინვე გაემშურა სადგურისკენ.*

Sobald Vano den Brief erhalten hatte (Plusquam.), ging (Imperf.) er sofort zum Bahnhof.

იმპერფექტული აორისტი გერმანულში იმპერფექტის ფორმით გადმოიცემა.

*სტუდენტმა წერა და წერა (imper. Aor.) პროექტი, მაგრამ მაინც ვერ დაასრულა (perf. Aor.).*

მეორე სერიას ეკუთვნის **II კავშირებითი (ოპტატივი)**, კავშირებითი კილოს ფორმა, რომლის ფუძედ გამოიყენება აორისტის მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირი. მას ემატება პირის ნიშნები და ასე იწარმოება II კავშირებითის ფორმები.

<b>Aorist</b>	<b>Aoriststamm</b>	<b>Optativstamm</b>
და-ვ-წერ-ე (I.)	და-წერ- (III.)	და-ვ-წერ-ო (I.)
და-ვ-დგ-ი (I.)	და-დგ- (III.)	და-ვ-დგ-ა (I.)

აორისტის ფორმის მსგავსად II კავშირებითიც (ოპტატივი) განასხვავებს სუსტ (დაბოლოება -ო) და ძლიერ (დაბოლოება -ა) ფორმებს:

**მხ. რიცხვი/Singular****მრ. რიცხვი/Plural**

1. -ო/ და-ვ-წერ-ო	-ა/და-ვ-დგ-ა	-ო-თ/და-ვ-წერ-ო-თ	-ა-თ/და-ვ-დგ-ა-თ
2. -ო / და-ვ-წერ-ო	-ა/და-დგ-ა	-ო-თ/ და-წერ-ო-თ	-ა-თ/და-დგ-ა-თ
3. -ო-ს /და-წერ-ო-ს	-ა-ს/ და-დგ-ა-ს	-ო-ნ/ და-წერ-ო-ნ	-ა-ნ/და-დგ-ა-ნ

II კავშირებითის ფორმისთვის არსებობს წესი, თუ ზმნები აორისტის ფორმაში -ე დაბოლოებას იღებენ, ოპტატივში მათ აქვთ -ო დაბოლოება, ხოლო ზმნები, რომლებსაც აორისტის ფორმაში -ი დაბოლოება აქვთ, ოპტატივში იღებენ -ა დაბოლოებას.

**წყვეტილი/Aorist****II კავშირებითი/Optativ**

გა-ვ-გზავნ-ე	გა-ვ-გზავნ-ო	schicken	-ე-ო/ -e -o
გა-ვ-აკეთ-ე	გა-ვ-აკეთ-ო	machen	-ე-ო/ -e o
და-ვ-ჭერ-ი	და-ვ-ჭრ-ა	schneiden	-ი-ა/ -i- a
და-ვ-ასხ-ი	და-ვ-ასხ-ა	einschenken	-ი-ა/ -i- a

აორისტის მსგავსად გარდამავალი ზმნების II კავშირებითს (ოპტატივს) ასევე ორი ფორმა გააჩნია - იმპერფექტული (ზმნისწინის გარეშე) და პერფექტული (ზმნისწინით), რომლებიც ასპექტის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

II კავშირებითის ფორმასთან ვხვდებით ისეთივე სინტაქსურ თავისებურებას, როგორსაც აორისტის ფორმასთან. კერძოდ, გრამატიკული სუბიექტი, ანუ ქვემდებარე დგას მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში), ხოლო პირდაპირი დამატება კი სახელობით ბრუნვაში.

ბავშვმა (Subj. Erg.) უნდა დაწეროს წერილი (dir. Obj. Nom.).

Es ist nötig, dass das Kind (Subj. Nomm.) den Brief (dir. Obj. Akk.) schreibe.

II კავშირებითი გამოხატავს აწმყოს/მომავალის კონიუნქტივს/კავშირებით კილოს. პირველ და მეორე კავშირებითს შორის განსხვავება ძირითადად სინტაქსური ხასიათისაა და მას ქართულში სხვა ფუნქციებიც გააჩნია:

ა) II კონიუნქტივი გამოხატავს მოთხოვნას, განზრახვას, სურვილს, ბრძანებას, შესაძლებლობას და ა.შ.

*მე ვთხოვ, რომ მან გააკეთოს (Opt.) განაცხადი.*

Ich bitte ihn, dass er einen Antrag macht.

*მას უნდა, რომ დახატოს (Opt.) ჩემი სურათი.*

Er möchte mein Bild zeichnen.

ბ) II კონიუნქტივი გამოიყენება ხშირად ისეთ გამონათქვამებში, რომლებიც აუცილებლობას, სურვილს, ვალდებულებას ან შეზღუდვას გამოხატავენ:

*მან უნდა გააკეთოს (Opt.) ყველაფერი კარგად.*

Er soll/muss alles gut machen.

გ) II კონიუნქტივი გამოიყენება მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებიც მიუთითებენ მიზანსა და განზრახვას. ქართულში გამოიყენება რომ და რათა კავშირები, იმისათვის, რომ მიზანი გახდეს თვალსაჩინო.

*მე მოვედი შენთან, რომ (ჩვენ) ერთად მოვამზადოთ ეს დავალება.*

Ich bin zu dir gekommen, damit wir diese Aufgabe zusammen vorbereiten.

*სტუდენტი დროულად იძინებს, რომ დილით ადრე ადგეს და მოემზადოს გამოცდისთვის.*

Der Student geht rechtzeitig schlafen/ins Bett, um morgen früh aufzustehen und für die Prüfung vorzubereiten.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქართულის II კონიუნქტივი შესაძლებელია გერმანულში ინფინიტივის მეშვეობითაც გადმოიცეს.

როგორც ზემოთ ითქვა, ასპექტის მიხედვით განასხვავებენ იმპერფექტულ და პერფექტულ II კავშირებითს (ოპტატივი). ორივე მათგანი ითვლება მომავლის კონიუნქტივის ფორმებად. იმპერფექტული კონიუნქტივი გამოხატავს დაუსრულებელ მოქმედებას, უფრო მეტად ზოგადი ხასიათისას.

*მე უნდა ვხატო სურათები.*

Ich muss die Bilder malen.

პერფექტული ოპტატივი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც დასრულებისკენაა მიმართული.

*მე უნდა დავხატო სურათები.*

Ich muss die Bilder malen.



ქართული ზმნის მესამე სერიას (**Perfektgruppe**), რომელსაც პერფექტის ჯგუფს უწოდებენ, ეკუთვნის I თურმეობითი (Perfekt), II თურმეობითი (Plusquamperfekt) და III კავშირებითი (Konjunktiv Präteritum).

ეს ფორმები ნაწილობრივ ფარავენ გერმანულ ენაში არსებულ მსგავსი სახელწოდების ფორმებს, თუმცა ქართულში მათ აქვთ ისეთი სხვა ნიუანსებიც, რომლებიც გერმანულისათვის უცნობია.

ქართულ ენაში წარსული დროის ფორმების უკეთ გაგებისათვის და გერმანულ ენასთან შედარებისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ქართულ ენაში არსებობს წარსულის ნანახი და უნახავი აქტის ფორმა. წარსული დროის ნანახი ფორმა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოსაუბრეს თვითონ აქვს განცდილი. ასეთ ფორმებს განეკუთვნება აორისტი და იმპერფექტი. შემდეგი წინადადებები „*მოსწავლე წერდა (Imp.) წერილს*“ ან „*მოსწავლემ დაწერა (Aor.) წერილი*“ გამოხატავენ ქმედებას, რომელიც მოსაუბრემ თვითონ დაინახა და არ შეაქვს ეჭვი ამ მოქმედების ობიექტურობაში.

უნახავი/განუცდელი წარსულის ფორმა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოსაუბრეს თვითონ არ უნახავს, არ განუცდია და, სავარაუდოდ, იცნობს ამ ქმედებას მხოლოდ გადმოცემით, ანუ ქმედება ევიდენციალურია.

*მოსწავლეს დაუწერია წერილი.*

Es stellt sich heraus, dass der schüler den Brief geschrieben hat.

Der Schüler soll den Brief geschrieben haben.

ეს ნიშნავს, რომ მოსაუბრე გადმოცემს მისთვის უნახავ/განუცდელ მოქმედებას, რომელიც გადმოცემით იცის. ასეთ შემთხვევაში უნახავი და განუცდელი მოქმედება გამოხატავს გარკვეულ ეჭვს, რომელსაც ზმნიზედები *თურმე*, *თითქოს* ან *ვითომ* უფრო აძლიერებს. *თურმე* - ზმნიზედა გამოიყენება პერფექტის ფორმასთან ერთად, ხოლო *თითქოს*, *ვითომ* - ზმნიზედები გამოიყენება პლუსკუამპერფექტის ან კონიუნქტივ პრეტერიტუმის ფორმებთან ერთად.

*თურმე* - ზმნიზედა შეესაბამება მე-3 სერიის წარსული დროის თურმეობითის ფორმას.

ქართულ ენაში განსხვავება I თურმეობითსა (Perfekt) და II თურმეობითის (Plusquamperfekt) ფორმებს შორის შინაარსობრივად მნიშვნელოვანია და მოქმედების შედეგობრიობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პერფექტი (Perfekt) გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც აწმყოზე ახდენს გავლენას, მოსაუბრე ამ ქმედებას არ ესწრებოდა, მხოლოდ გადმოცემით სმენია მის შესახებ, ხოლო წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი აწმყოშია.

*როგორც ვხედავ, ბავშვს უკვე დაუხატავს (Perf.) სურათი.*

Wie ich sehe, hat das Kind das Bild schon gemalt.

ეს წინადადება ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოსაუბრე სურათის დახატვისას მართლაც არ იყო იქ, მაგრამ მოქმედების შედეგი სურათის სახით მის თვალწინაა.

ქართული I თურმეობითის ფორმა გამოხატავს წარსულ დროს, მაგრამ შინაარსობრივად უახლოვდება აწმყოს და გერმანულ ენაში არსებული პერფექტის საწინააღმდეგოს წარმოადგენს.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, წარსულ დროში ასახული ერთჯერადი ან დასრულებული მოქმედება ქართულ ენაში წყვეტილის/Aorist მეშვეობით გადმოიცემა. თუმცა ეს წესი მხოლოდ თანხმობით წინადადებებზე ვრცელდება. თუ დასრულებული ან ერთჯერადი მოქმედება უკუთქმითია, მაშინ მის გამოსახატავად ქართულში გამოიყენება პერფექტის ფორმა. ხოლო თუ ნეგატიური ფორმის გამოსახატავად წყვეტილს გამოვიყენებთ, მაშინ იცვლება წინადადების მნიშვნელობა: *მან არ დაწერა (Aor.)* ეს ნიშნავს, რომ მას არ სურდა დაწერა, იცვლება ზმნის ფორმა.

*დაწერა (Aor.) ბავშვმა წერილი? Hat das Kind den Brief geschrieben?*

მტკიცებითი პასუხი (Die bejahende Antwort):

*კი, დაწერა (Aor.) მან ის. Ja, es hat ihn geschrieben.*

უარყოფითი პასუხი (Die verneinende Antwort):

*მან არ დაწერა წერილი (არ უნდოდა და არ დაწერა).*

Nein, es hat ihn nicht geschrieben.

ზემოთ მოცემული წინადადებები მიგვითითებს, რომ წყვეტილი/Aorist გამოხატავს დანახულ ან განცდილ წარსულ დროს, რომელიც მოსაუბრემ დარწმუნებით შეიძლება დაადასტუროს, რომ მოქმედება შედგა. ხოლო პერფექტის ფორმა გამოხატავს უნახავ ან განუცდელ წარსული დროის ფორმას.

II თურმეობითის ფორმა გვიჩვენებს, რომ წარსულის შედეგები უკვე წარსულ დროს ეკუთვნის და მოსაუბრისთვის უცნობია აწმყოს სიტუაცია.

*ამეშენებინა მე ის - ავეშენებინე მე მას/ აეშენებინა მას ის.*

**II თურმეობითის და I თურმეობითის მსგავსება** იმაში გამოიხატება, რომ ორივე ფორმა გამოხატავს წარსულში მიმდინარე მოქმედებას, რომელიც მოსაუბრის არყოფნის დროს მოხდა. ხოლო მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ I თურმეობითის ფორმა გამოხატავს ისეთ მოქმედებას, როდესაც აწმყოშია შესაძლებელი წარსულში მომხდარი ქმედების/შედეგის დანახვა (*დაუხატავს (es hat anscheinend gemalt)*), ანუ აწმყოდან დანახული წარსულის ფორმაა პერფექტი.

ხოლო II თურმეობითის ფორმისას *დაეხატოს (er hatte angeblich gemalt)* ითვლება, რომ წარსულში მომხდარი მოქმედების ასახვა აწმყოში არ უნდა ხდებოდეს, ანუ II თურმეობითის წარსულის პერსპექტივიდან დანახული წარსული დროა.

ქართული ენის მე-3 კავშირებითი გერმანულ ენაში კონიუნქტივ პერფექტის (I კონიუნქტივ - *er habe geschrieben*) ან კონიუნქტივ პლუსქუამპერფექტის (II კონიუნქტივ - *er hätte geschrieben*) საშუალებით გადმოიცემა და შედარებით იშვიათად გამოიყენება. მის ადგილას გვხვდება II თურმეობითი და გამოხატავს წარსულ დროს ქართულ ენაში. აწმყოს და მომავლის კავშირებითი კონიუნქტივ I და კონიუნქტივ II-ის საშუალებით გამოიხატება.

გერმანულ ენაში პლუსქუამპერფექტის ფორმით (*hätte geschrieben - wäre gekommen*) გამოიხატება წარსულის კონიუნქტივი და გვხვდება ირეალურ პირობით გარემოებით წინადადებებში კონდიციონალისთან ერთად. კონდიციონალისი ქართულ ენაში გამოხატავს როგორც აწმყოს, ასევე წარსულის ფორმებს.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, აწმყოსა და წარსულის ფორმებში პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში კონდიციონალისი დგას მთავარ წინადადებაში, ხოლო დამოკიდებულ წინადადებაში ვხვდებით წარსულის კონიუნქტივს/კონიუნქტივ პლუსქუამპერფექტს.

არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება აწმყოში:

*ბავშვი რომ დაწერდეს (I. Konj.) წერილს, მე გავვზავნიდი (Kond.).*

Wenn das Kind den Brief schriebe, würde ich in abschicken.

ქართული მყოფადის კავშირებითით გამოხატული ეს ფორმა გერმანულ პოტენციალისს შეესაბამება, როდესაც ირეალური მოქმედება დაშვებითობის პრინციპს ითვალისწინებს.

არარეალური პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება წარსულში:

*ბავშვს რომ დაეწერა (Plusqu.) წერილი, მე გავვზავნიდი (Kond.) მას.*

Wenn da Kind den Brief geschrieben hätte, würde ich ihn abschicken/hätte ich ihn abgeschickt.

ქართულში II თურმეობითის ფორმით გამოხატული ქმედება სრულად შეესაბამება გერმანულში პირობის გარემოებით დამოკიდებულ ირეალურ წინადადებას და ირეალისს გამოხატავს, ანუ ისეთ ქმედებას, რომელიც ვერასოდეს ვერ შესრულდება, მისი მხოლოდ წარმოდგენაა შესაძლებელი.

სხვა სახის ირეალისის გამოხატველ წინადადებაში კავშირებითის ფორმები გვხვდება ნაწილაკ უნდას-თან ერთად (მაგ. I კავშირებითში). ეს ნაწილაკი მიუთითებს როგორც აწმყოში, ისე მომავალში პლუსქუამპერფექტთან კავშირში წარსულის მოქმედებას. აწმყო/Gegenwart:

*შენ უკეთესად უნდა საუბრობდე (I. Konj.) გერმანულად.*

Du solltest besser deutsch sprechen.

წარსული/Vergangenheit:

*შენ უკეთ უნდა შეგესრულებინა (Plusqu.) დავალება.*

Du hättest die Aufgabe besser erfüllen sollen.

მე-3 კონიუნქტივში გვხვდება ასევე იმპერფექტული და პერფექტული ფორმები გარდამავალ ზმნებთან. როგორც მესამე სერიის სხვა დანარჩენ ფორმებთან, ასევე აქაც, პერფექტული ფორმა უფრო ხშირადაა გამოყენებული.

ქართულ ენაში ზმნებს განასხვავებენ მოქმედებითი (აქტიური) და ვნებითი (პასიური) გვარის მიხედვით. აქტიური გვარის ზმნები ყოველთვის გარდამავალია. გარდამავალი ზმნებისთვის შემდეგი სინაქსური კონსტრუქცია მოქმედებს - ქვემდებარის და პირდაპირი დამატების ბრუნვები ზმნის სერიის მიხედვით იცვლება, ირიბი დამატების ბრუნვა უცვლელია, ყოველთვის მიცემითია:

	S	O ირ/ind.	O პირ/dir.
I სერია/Zeitgruppe	სახ./Nom	მიც./Dat.	მიც./Dat.
II სერია/Zeitgruppe	მოთხრ./Erg.	მიც. /Dat.	სახ./Nom.
III სერია/Zeitgruppe	მიც./Dat.	მიც./Dat.	სახ./Nom.

გერმანული ენისგან განსხვავებით, სადაც ქვემდებარის/სუბიექტის ბრუნვად ყოველთვის სახელობითი (Nominativ) ბრუნვაა განსაზღვრული, ქართულ ენაში გარდამავალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვა სერიების მიხედვით იცვლება სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითი ბრუნვების მიხედვით. შესაბამისად, იცვლება პირდაპირი დამატების ბრუნვები მიცემითი იცვლება სახელობითით, ხოლო ირიბი დამატების ბრუნვა ყველა სერიაში უცვლელი რჩება.

- I დედა სწერს შვილ-ს წერილ-ს. მასწავლებელ-ი ჩუქნის ბავშვ-ს წიგნ-ს.
- II დედა-მ დაუწერა შვილ-ს წერილ-ი. მასწავლებელ-მა აჩუქა ბავშვ-ს წიგნ-ი.
- III დედა-ს დაუწერია შვილ-ისთვის წერილ-ი. მასწავლებელ-ს უჩუქნია ბავშვ-ისთვის წიგნ-ი.

ქართული ენის ეს კონსტრუქცია სრულიად განსხვავდება გერმანული ენის სისტემისაგან, სადაც ყველა გრამატიკულ კომპონენტს თავისი განსაზღვრული ადგილი და ბრუნვა გააჩნია - სუბიექტი ყოველთვის სახელობითშია (Nominativ), ირიბი დამატება - მიცემითში (Dativ), ხოლო პირდაპირი დამატება კი - ბრალდებითში (Akkusativ).

ქართულ ენაში გარდაუვალ ზმნებთან სერიების მიხედვით ქვემდებარის და დამატების ურთიერთმიმართების შემდეგი სურათი ვლინდება, ქვემდებარე გერმანული ენის მსგავსად ყოველთვის სახელობითში დგას, ხოლო ირიბი დამატება -მიცემითში:

	S	V	O
I	სახ. ბავშვ-ი	ემალემა	მიც. დედა-ს.
II	სახ. ბავშვ-ი	დაემალა	მიც. დედა-ს.
III	სახ. ბავშვ-ი	დამალვია	მიც. დედა-ს.

ქართული ზმნის მახასიათებელია, რომ იგი გამოხატავს როგორც ქვემდებარეს/სუბიექტს, ასევე დამატებას/ობიექტს, განსხვავებით გერმანული ზმნისგან, სადაც მხოლოდ ქვემდებარეს ეწყობა ზმნა რიცხვში, კილოსა თუ სქესში. ქართულ ენაში ზმნა, დროის, კილოს, გვარის, გარდამავლობის გარდა, გამოხატავს კუთვნილებასა და მიზეზ-შედეგობრიობას:

ვუშენებ მე მას, იშენებს ის მას, მიშენებს ის მე მას), ან Kausalität (აშენებინებს ის მას მას).

ასევე ქართული ზმნის განსაკუთრებულობა ვლინდება სუბიექტის/ქვემდებარის და ობიექტის/დამატების გამოხატვის ფუნქციაში. განსხვავებულია ასევე ქართულისგან გერმანული ენის პირის და რიცხვის ზმნასთან შესატყვისობა, სადაც ეს შესაბამისობა ძირითადად ზმნას და ქვემდებარეს/სუბიექტს შორის ხორციელდება.

### 3.2.1. ირეალისის შესაბამისობა ქართული ზმნის მწკრივის ფორმებთან

ქართული ზმნის სისტემის შედარებისას ირეალისის გამომხატველ გერმანულ გრამატიკულ სტრუქტურებთან გამოვლინდა მსგავსებები და განსხვავებები. კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდა, რომ განსხვავებული ენები ამა თუ იმ გრამატიკულ ფენომენს სხვადასხვა ფორმით და სტრუქტურით გამოხატავენ. ჩვენ მიერ განხილული გერმანული ირეალისის ფუნქციები ქართულში გაბნეულია სხვადასხვა სერიებსა და

მწკრივებში. ზემოთ დაწვრილებით იქნა აღწერილი ქართული და გერმანული სტრუქტურების განსხვავება, რასაც ქვემოთ სქემის სახით წარმოვადგენთ.

<p><b>აწმყოს კავშირებითი</b></p> <p><i>რას ვშვრებოდე?</i></p>	<p>შეესაბამება ნაწილობრივ ირეალისს.</p> <p>მხოლოდ იმ შემთხვევაში გადმოიცემა ირეალისით, თუ აღნიშნავს ნატვრას ან პირობითობას.</p>	<p>ნეტავ ახლა ზღვის პირას ვიჯდე.</p> <p>wenn ich jetzt am Strand sitzen würde!</p>
<p><b>ხოლმეობით-შედეგობითი</b></p> <p><i>რას ვიზამდი?</i></p>	<p>პირობით-შედეგობით დამოკიდებულებას აღნიშნავს და ყოველთვის გამოიყენება არარეალურ, პირობით წინადადებაში.</p>	<p>რომ მცოდნოდა, ავუხსნიდი/Wenn ich gewusst hätte, hätte es ihm erklärt.</p> <p>შენს ადგილას, უკვე დავამთავრებდი/დავწერდი/დავხატავდი.</p> <p>An deiner Stelle würde ich es beenden/schreiben/malen</p>
<p><b>მყოფადის კავშირებითი</b></p> <p><i>რას ვიზამდე?</i></p>	<p>მოქმედება, რომელიც შეიძლება შესრულდეს მომავალში, ნატვრის მნიშვნელობით.</p>	<p>ნეტავი ლამაზ სახლს ავაშენებდე!</p> <p>Würde ich doch ein schönes Haus bauen!</p>
<p><b>II კავშირებითი</b></p> <p><i>რა ვქნა?</i></p>	<p>შეესაბამება ირეალისს, რადგან შეიცავს ნატვრას. თუმცა I პირის ფორმა მრავლობითში და III პირის ფორმა ორივე რიცხვში, როგორც წართქმითი, ისე უკუთქმითი გამოიყენება ბრძანების გადმოსაცემად.</p>	<p>გავაკეთო, დავწერო, ვისწავლო წერილი რომ გავგზავნო, გაგეხარდება?</p> <p>Wenn ich den Brief schreiben würde, würde es dich freuen?</p> <p>ვისწავლოთ! ისწავლოს! არ დაწეროთ! არ დაწერო!</p>

<b>II თურმეობითი რა მექნა?</b>	აუცილებლად ითარგმნება ირეალისად, წარსულ დროსთან მიმართებით.	ნეტავ, დამეწერა წერილი და გამეგზავნა. Wenn ich doch den Brief geschrieben/geschickt hätte!
<b>III კავშირებითი რა მექნას?</b>	ითარგმნება ირეალისად, თუმცა მოძველებული ფორმაა.	უკეთესი იქნებოდა, მე რომ დამეკრიფოს და მომეტანოს ყვავილები? Wäre es besser, wenn ich die Blumen gepflückt und dir gebracht hätte?

გერმანულ-ქართული მორფო-სინტაქსური თავისებურებების შედარება და ირეალისის ადგილის განსაზღვრა ქართული ენის ზმნურ სისტემაში მნიშვნელოვანია მრავალმხრივ. ჩვენს შემთხვევაში ამ თვალსაჩინოების გამოყენება შესაძლებელია გერმანული ირეალისის სწავლებისას. იგი გაადვილებს ირეალისის ფორმების ქართულთან შედარებას, ეკვივალენტური ფორმების წარმოებას და სწორად გამოყენებას. ამ შედარების გათვალისწინება მიზანშეწონილი იქნება თარგმანის თეორიისა და პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობისათვის, ხელს შეუწყობს გერმანული და ქართული ენობრივი კონსტრუქციების სიღრმისეულ გააზრებას.

#### IV. თავი: ირეალისის სწავლების პრაქტიკულ-დიდაქტიკური ასპექტები

##### ინტერკულტურულ კონტექსტში

##### 4.1. ზოგადი მიმოხილვა

ირეალისის კვლევა გასული საუკუნის 60-80-იანი წლებიდან აქტუალური ხდება სხვადასხვა ენაში. აღსანიშნავია ვ. ფლემიგის შრომა „კონიუნქტივის შესახებ თანამედროვე გერმანულ ენაში“, რომელშიც იგი კონიუნქტივის ორივე ფორმის (კონიუნქტივ I-ის და კონიუნქტივ II-ის) გამოყენების არეალს იკვლევს თომას მანის ნაწარმოებებში. მკვლევრის დასკვნით, კონიუნქტივ I-ის ძირითადი ფუნქციაა ირიბი



თქმა, ხოლო კონიუნქტივ II-ისა - არარეალური/წარმოსახვითი მოქმედების გამოხატვა (Flämig 1959, 1962).

ზ. იეგერის ნაშრომი „კონიუნქტივი თანამედროვე გერმანულ ენაში“ (Jäger 1971) ძირითადად ირიბ ნათქვამში კონიუნქტივ I-ის გამოყენებას იკვლევს. რაც შეეხება კონიუნქტივ II-ის გამოყენებას არარეალური პირობის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, მკვლევარი მას მხოლოდ მოკლედ მიმოიხილავს. იგი იფარგლება ჰ. ბრინკმანის (H. Brinkmann) ციტატით, რომ კონიუნქტივ II-ის ძირითადი ფუნქციაა “შესასრულებელი ქმედება მოცემული ჰორიზონტის მიღმა განიხილოს” (Jäger 1971: 209).

ამ პერიოდს ეკუთვნის გ. კაუფმანის ნაშრომი „კონიუნქტიური პირობის გარემოებითი დამოკიდებული სტრუქტურები/წინადადებები თანამედროვე გერმანულში“ (Kaufmann 1972). ლინგვოდიდაქტიკური მიდგომა კვლევას დამატებით დატვირთვას სძენს. დიდაქტიკური შენიშვნები და მოსაზრებები ზოგადი ხასიათისაა და არაა გათვლილი რომელიმე კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე ან ენაზე. გ. კაუფმანი გერმანული ენის სტრუქტურებზე ამხვილებს ყურადღებას, რათა მასზე დაყრდნობით უცხო ენის მასწავლებელმა ძირითადი პრობლემების ლოკალიზება და დიდაქტიკური თვალსაზრისით სწორი მიდგომის გამომუშავება შეძლოს. მკვლევარი პირობის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების მაგალითზე ცდილობს წარმოაჩინოს გამოხატვის ფორმები და სტრუქტურები, რომელთაც სხვადასხვა ენაში განსხვავებული ახსნა აქვს და უნივერსალურ მოდელად არ გამოდგება.

მოგვიანებით გამოქვეყნდა კ.-ჰ. ბაუშის „მოდლობა და კონიუნქტივის გამოყენება სტანდარტულ სასაუბრო/სამეტყველო გერმანულ ენაში“ (Bausch 1979). კ.-ჰ. ბაუში მოდლობისა და კონიუნქტივის გამოყენების ვრცელ ანალიზს გვთავაზობს. როგორც კონიუნქტივისა და ინდიკატივის სხვადასხვა ფორმებს შორის, ასევე კონიუნქტივის წარმოების სინთეტურ და ანალიზურ ფორმებს შორის განსხვავებას იგი მხოლოდ მორფოლოგიური კუთხიდან აკვირდება, შინაარსსა და ფუნქციებზე კი ნაკლებად ამხვილებს ყურადღებას. ირეალობას და კონიუნქტივ II-ს მკვლევარი მხოლოდ ნაწილობრივ განიხილავს და მასაც მხოლოდ არარეალურ დამოკიდებულ

წინადადებასთან კავშირში. თუმცა აქვე აღსანიშნავია *würde* ფორმის მეტად საინტერესო განმარტება, რომელსაც ამ ნაშრომში იძლევა კ.-ჰ. ბაუმი.

80-იანი წლების ბოლოს გამოიცა ვ. კასპერის „კონიუნქტივ II-ის სემანტიკა გერმანულ დეკლარატიულ წინადადებებში“ (Kasper 1987), რომელშიც ძირითადი აქცენტი კეთდება მარტივ წინადადებებზე თხრობით და კავშირებით კილოში (კონიუნქტივ II-ში). ავტორის მიზანია სტრუქტურულ დონეზე განიხილოს კონიუნქტივის ფუნქციები და მისი გამოყენების არეალი.

კონიუნქტივის გამოყენება, მისი ფუნქციები და ირეალობის გამოხატვის ფორმები გერმანულ ენაში განხილულია ასევე გრამატიკის სახელმძღვანელოებში, რომლებიც საფუძვლად უდევს გერმანული ენის სწავლებას. ეს სახელმძღვანელოებია კ.-ე. ზომერფელდტის და გ. შტარკეს „თანამედროვე გერმანული ენის გრამატიკის შესავალი“ (Sommerfeldt/Starke 1992), ჰ. ვაინრიხის „გერმანული ენის ტექსტის გრამატიკა“ (Weinrich 1993), პ. აიზენბერგის „გერმანული ენის გრამატიკის მონახაზი“ (Eisenberg 1994), უ. ენგელის „გერმანული გრამატიკა“ (Engel 1996), გ. ჰელბიგის და ი. ბუშას „გერმანული გრამატიკა. სახელმძღვანელო უცხო ენის შემსწავლელთათვის“ (Helbig/Buscha 1996), გ. ციფონუნის, ლ. ჰოფმანის და ბ. შტრეკერის „გერმანული ენის გრამატიკა“ (Zifonun et al. 1997), ლ. გოეტცეს „გერმანული ენის გრამატიკა. ენის სისტემა და ენის გამოყენება“ (Götze 1999), დუდენის გრამატიკა (Duden 2009) და სხვ.

კონიუნქტივის (კავშირებითი კილოს) და მოდალობის კვლევას მიეძღვნა ასევე ქართული ენის მკვლევართა არაერთი ნაშრომი (თავაძე 1939; კოტინოვი 1959, 1986; ნინუა 1967; ოქროპირიძე 1974; პაპიძე 1981; მელიქიშვილი 1980). კავშირებითი კილოს და მოდალობის საკითხები განხილულია ასევე ქართველ ენათმეცნიერთა მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებში (ჩიქოზავა 1952; ჯორბენაძე 1980; შანიძე 1973, 1980; მელიქიშვილი 2001). აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ეს ნაშრომი გასულ საუკუნეშია შექმნილი, ხოლო ახალი, თანამედროვე კვლევები ამ მიმართულებით ნაკლებად გვხვდება.

გერმანულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში თვალში საცემია გრამატიკული ფორმების გამოყენების, თეორიული ცოდნის ფუნქციურ ცოდნად

გარდაქმნის სირთულეები. როგორც ჩვენმა მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, ქართულენოვანი შემსწავლელები ძნელად ითვისებენ გერმანულ კონიუნქტივ II-ს, რომელიც ირეალისს გამოხატავს. კონიუნქტივ II-ის საკუთრივ გრამატიკული ფორმის აღქმა და გაგება გერმანული ენის შემსწავლელებს, მართალია, არ უჭირთ, მაგრამ როგორც კი საქმე მის გამოყენებაზე მიდგება, თავს იჩენს სერიოზული სირთულე - ვერ ხერხდება შესწავლილი ფორმის სწორი და ადეკვატური გამოყენება კონტექსტში.

აქ აღსანიშნავია, რომ ენაში არ მოიპოვება “სათადარიგო” შესაძლებლობა იმის “სხვა რაკურსით” გამოსახატავად, რასაც ირეალისი გულისხმობს. ასე, მაგალითად, თუ გერმანული ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს ზმნის ვნებითი გვარის (პასივის Passiv) ფორმების სრულყოფილად ათვისებას - ასეთი შემთხვევები კი არცთუ იშვიათია -, ზეპირი მეტყველებისას მას, ამის მიუხედავად, მაინც შეუძლია შედარებით “იოლას გავიდეს”, თუ მოქმედებითი გვარის (აქტივის Aktiv) ფორმებს გამოიყენებს. ცხადია, “სასურველი” პასივის ნაცვლად “გაჭირვების” აქტივის გამოყენება სტილისტურად აღარიბებს მეტყველებას (საგულისხმოა, რომ ვნებითი გვარი დიდი უპირატესობით სარგებლობს წერით მეტყველებაში ზეპირთან შედარებით), მაგრამ სათქმელის გამოხატვა - ავად თუ კარგად - მაინც ხერხდება. რაც შეეხება კონიუნქტივ II -ს, მისი რითიმე ჩანაცვლება შეუძლებელია (შესაბამისად, კონიუნქტივ II თანაბარი სიხშირით გამოიყენება როგორ წერილობით, ისე ზეპირ მეტყველებაში). ამიტომაცაა, რომ სპეციალისტთათვის გასაგები ერთგვარი ხუმრობის ტონით იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ირეალისის გამოხატვის სრულყოფილად ათვისება უფრო მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელისათვის, ვიდრე ვნებითი გვარისა.

3. ზელიგერს მიაჩნია, რომ ზოგიერთი შემსწავლელი ძალზე კარგად სწავლობს გრამატიკულ წესებს, მაგრამ მხოლოდ ცოტა ახერხებს გრამატიკული ცოდნის ენობრივ ცოდნად გარდაქმნას, რადგან კავშირი გრამატიკული წესების ცოდნასა და ენის პროდუქციას შორის არ არსებობს (Seliger 1990: 70). ეს იმას ნიშნავს, რომ წესების ცოდნა არაა სამეტყველო ენის გამოყენების გარანტია.

ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს ინტერკულტურული მეთოდით ირეალისის შესწავლის გზების დასახვა, ქართული და გერმანული ენების შეპირისპირების საფუძველზე ინტერკულტურული მეთოდით სწავლების მოდელის შემუშავება, რომელიც გაუადვილებს ენის შემსწავლელს ირეალისის ათვისებას და ჩამოუყალიბებს მას ახალ სოციო-კულტურულ პერსპექტივას.

არსებული თეორიული წყაროების შესწავლა ცხადყოფს, რომ უცხოური ენის გაკვეთილზე ირეალისის სწავლებისთვის მეთოდური მასალა შედარებით ნაკლებად მოიპოვება. ჩვენი მიზანია განხილული თეორიული მასალის საფუძველზე შევიმუშაოთ გერმანულის, როგორც უცხო ენის, გაკვეთილისთვის საჭირო დიდაქტიკური ხასიათის რეკომენდაციები.

ამ მიზნით გამოვიყენეთ შედარებითი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. ჩატარდა სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალურად შერჩეული კითხვარის მეშვეობით. კვლევის შედეგად შეიქმნა ირეალისის სწავლების ინტერკულტურული სწავლების მოდელი, რომლის განხილვა და ვალიდობის დადგენა მოხდა ფოკუსჯგუფში.

#### 4.2. სტუდენტთა გამოკითხვა

გერმანული ენის ათვისება ქართულენოვანთათვის გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ენის შემსწავლელი ზრდასრულ ასაკშია. გერმანული ენის გრამატიკის დაუფლებისას გამოკვეთილი სირთულეების გათვალისწინებით ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ირეალისის შესწავლა. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რა უადვილდებათ ან რა სირთულეებს აწყდებიან სტუდენტები ირეალისის ათვისებისას ჩვენს ჰიპოთეზასთან მიმართებით, ჩავატარეთ სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვა სხვადასხვა უნივერსიტეტში. უპირველეს ყოვლისა, შევადგინეთ კითხვარი და მისი შევსება ვთხოვეთ უცხო ენის სწავლების სხვადასხვა საფეხურის (A2-B2) სტუდენტებს და მასწავლებლებს. გამოკითხვა ტარდებოდა ჯგუფებში (სტუდენტებისთვის) და ინდივიდუალურად (მასწავლებლებისთვის). გამოკითხვაში, რომელიც ანონიმურობის პრინციპის დაცვით ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი სასწავლებლების 60-მა სტუდენტმა და 15-მა მასწავლებელმა.

სტუდენტთა კითხვარი შედგება 3 კითხვისა და ტექსტის ნიმუშისგან (სწავლების სხვადასხვა საფეხურზე), რომელშიც კონიუნქტივ II-ის საშუალებით ირეალისია გამოხატული. სტუდენტები ეცნობიან ტექსტს, კონიუნქტივ II-ით გამოხატულ ირეალისის შემცველ წინადადებებს ქართულად თარგმნიან და პასუხობენ სამ შეკითხვას (კითხვარში ირეალისის ცნების ნაცვლად გამოყენებულია კონიუნქტივ II-ის გრამატიკული ცნება).

I კითხვაზე „რა გიძნელდებათ კონიუნქტივ II-ის შესწავლისას?“ სტუდენტები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან. უმრავლესობისთვის რთულია კონიუნქტივ II-ის ფორმების წარმოება, რადგან ხშირად არასწორ ფორმას იყენებენ ძლიერ ზმნებთან. სტუდენტთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ ისინი ადვილად აღიქვამენ და სწავლობენ ამ ფორმებს, მაგრამ უჭირთ მათი სწორად და ადეკვატურად გამოყენება. ასევე აღნიშნა ის გარემოება, რომ მათ უჭირთ კონიუნქტივ II-ის ფორმების თარგმნა და შესაბამისი ეკვივალენტის მოძებნა მშობლიურ ენაში. სტუდენტთა ნაწილს უჭირს წინადადებაში კონიუნქტივის გრამატიკული დროის ფორმების სწორი გამოყენება და შესატყვისის ქართულად თარგმნა და გაანალიზება.

II კითხვაზე „რა გაადვილდებათ კონიუნქტივ II-ის შესწავლისას?“ გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უადვილდება კონიუნქტივ II-ის ფორმის შესწავლა, ადვილად ხდება ამ ფორმის ათვისება. სტუდენტთა ნაწილი აღნიშნავს, რომ უადვილდება კონიუნქტივ II-ის დროების წარმოება.

ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ უადვილდება würde + Infinitv-ის ფორმით კონიუნქტივ II-ის წარმოება.

III კითხვაზე „რას ისურვებდით კონიუნქტივ II-ის შესწავლის გასაუმჯობესებლად?“ სტუდენტები შემდეგ პასუხებს იძლევიან:

„ვისურვებდი, რომ ამ თემას დაეთმოს უფრო მეტი დრო. დაიწყოს მარტივი მაგალითებით და ეტაპობრივად მოხდეს მათი გართულება“.

„ვისურვებდი, რომ უფრო მეტი უცხო ტექსტი და სავარჯიშო იყოს, რათა უკეთ დავიხსომო და აღვიქვა კონიუნქტივ II-ის ფორმები. ეს სწავლების პროცესს უფრო საინტერესოს გახდის“.

„მნიშვნელოვანია კონიუნქტივ II-ის შემცველი ტექსტების კითხვა და ამ ფორმების ხშირად გამოყენება“.

სტუდენტთა გამოკითხვა გვიდასტურებს ჩვენ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას შემსწავლელის მიერ კონიუნქტივ II-ის/ირეალისის ფორმის შესწავლის სიმარტივის და მისი სწორი გამოყენების სირთულის შესახებ.

უცხო ენის თანამედროვე სწავლების დიდაქტიკა სწავლების პროცესში ენის შემსწავლელის ინტერესებს ითვალისწინებს. ინტერკულტურული სწავლება სტუდენტზეა ორიენტირებული და მის მოთხოვნებსა და შეხედულებებს ითვალისწინებს. გამოკითხვის შედეგების მიხედვით შევეცდებით წარმოვადგინოთ ინტერკულტურული სწავლების კონკრეტული მოდელი, რომელიც შესაძლებელს გახდის ირეალისის სწავლებას ახალი, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი და მისაღები მიდგომით.

#### **4.3. მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური კითხვარის მეშვეობით და გამოკითხვის შედეგები**

